ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 3—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დ ღ ი უ რ ი

- სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დევნა დაუწყო რადიჩის პარტიას.
- ამერიკის სენატმა დაამტკიცა შეთანხმება ბელგიის მიერ ამერიკის ვალების გადახდის შესახებ.
- შეერთებულმა შტატებმა მიიღეს ახალი კანონი უცხოელებისათვის ამერიკაში შესვლის აკრძალვის შესახებ.
- პრაღაში გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა.
- იტალიის მთავრობამ აკრძალა პირველ მაისს რაიმე დემონსტრაციის მოწყობა.

პარასკევი, 30 აპრილი, 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 97 (1552)

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 10—49

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შემდეგ

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი 29 აპრილს).

24 აპრილს დადებული ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ღირსშესანიშნავ მოვლენად შევა არა მარტო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. ბერლინის 24 აპრილის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო ვერსალის გამარჯვებულთა მიერ განიარაღებულ კაპიტალისტურ გერმანიასა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მთავრობას შორის, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ის გაჩნდა მაშინ, როცა მთელი ბურჟუაზიული ევროპა გაჟღენთილი იყო თვალთმაქცურ და მლიქვნელურ ფრაზებით „მშვიდობიანობის“ და „განიარაღების“ შესახებ.

ის გაჩნდა ლოკარნოს ხელშეკრულების დადების შემდეგ. მას შემდეგ, რაც სამარცხვინოდ ჩაიშალა საგანგებოდ შეკოწიწებული ჟენევის კომედია, „გამარჯვებულ“ სახელმწიფოების მიერ გერმანიის აბუჩად აგდების შემდეგ. მას შემდეგ, რაც ერთა ლიგის უწმინდურ კულისებს საკმაოდ ფარდა ჩამოეხსნა და მას შემდეგ, რაც ბევრმა „იჯვით შებყრობილმა“, პირველ ყოვლისა, გერმანიის საზოგადოებრივ აზრმა, იგრძნო ლოკარნოს ვარდებს იქით ჩემბერლენის დიპლომატიის ეკალი.

სრულებით გასაკვირი არ არის, რომ „ლოკარნოს თანამგრძნობი“ ევროპის კაპიტალისტური პრესა საკმაოდ „ნაწყენია“ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებით. მას არ ძალუძს დაფაროს უდიდესი უკმაყოფილება, ის ყოველმხრივ „შიშობს“, რომ ამ ხელშეკრულებას ახალი ცუდი რამ არ მოჰყვეს (ცუდი კაპიტალისტური დიპლომატიის ინტრიგანებისათვის). ის თავგამოდებით „ადარებს“ ბერლინის ხელშეკრულების მუხლებს ერთა ლიგის წესდების სათანადო პარაგრაფებს, ის ყოველმხრივ „ამშვიდებს“ თავის თავს და საზოგადოებრივ აზრს, ის ირწმუნება, რომ ჯერ კიდევ არ დასველებულა ლოკარნოს თოფის წამალი, ის კვლავ მზად არის „გაკეთილად გამოიყენოს“ ბერლინის ხელშეკრულება და ფიცით იძლევა დაპირებას, რომ წინ წასწევს „ლოკარნოს საქმეს“.

ევროპის პრესის გამოძახილიდან ჯერ კიდევ არ შეიძლება სათანადო დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ის ბერლინის ხელშეკრულებას. ერთა ლიგაზე გაბატონებული სახელმწიფოების ბურჟუაზიული, დაქირავებული პრესა, მდგომარეობის პირდაპირი და დაწვრილებითი შეფასების მაგიერ, ჯერ კიდევ ზოგადი ფრაზებით ცდილობს შექნილი მდგომარეობიდან თავის გამოძრომას. მიუხედავად ამისა, მას არ შეუძლია უარჰყოს, რომ ბერლინმა მაინცდამაინც ბევრი ვერაფრით ასიამოვნა ის. თავაშვებული ფრანგი რეაქციონერები აშკარად „გმობენ“ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას და ბრაზისაგან იხრჩობიან იმის გამო, რომ გერმანია ერთა ლიგის საშემოდგომო სესიაზე ბაგაჟით თან მიიტანს მცირე „რაპალოს“; მათ ბანს აძლევს შვეიცარიის პრესაც.

პატივცემული „ციურიხის ახალი გაზეთი“ ახერხებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ისე დასახვას, თითქოს ჩიჩერინს მოეწყოს „აღმოსავლური ბლოკადა“ ევროპისათვის და ამ „ბლოკადის რკალის“ ერთ-ერთ რგოლად გამოეყენებინოს გერმანია. შვეიცარიის გაზეთს ელანდება რაღაც წარმოუდგენელი ბლოკადები და საშინელი შეთანხმებანი, ალბად იმიტომ, რომ მას ვერ წარმოუდგენია რაიმე ხელშეკრულების დადება, თუ უკანასკნელს საფუძვლად არ უდევს ინტრიგა, წაქეზება და აგრესიული ზრახვები. ინგლისის ოფიციოზურ გაზეთების კილო თავდაჭერილია და ფრთხილი. კონსერვატიულ ლორდებს ჯერ არ უთქვამთ თავიანთი სიტყვა. მათი მდგომარეობა მაინც საკმაოდ მძიმეა. მათ სურთ, მაგრამ მაინც ეშინიათ ბერლინის ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრონ. გერმანია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს ყველასათვის აშკარა და მშვიდობიანი მოსაზრებები. ინგლისის იმპერიალისტებიც ხომ მშვიდობიანობის ისეთივე თავგამოდებითი „დამცველები“ არიან. ისინი იცავენ „მშვიდობიანობას“, „ლოკარნოს“, „განიარაღებას“. დიახ, მათ სთქვან, რომ ბერლინი ეწინააღმდეგება მშვიდობიანობას, ე. ი. რომ მშვიდობიანობის და ურთიერთ ნეიტრალობის ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ეწინააღმდეგება „სამშვიდობო დაწესებულებას“, როგორადაც ისინი სთვლიან ლოკარნოს.

მართალია, ცნობილ ბატონ იორმბობებმა თავის დროზე პირდაპირ წამოროშეს, რომ ლოკარნო მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისის პასუხისმგებელ ხელმძღვანელ დიპლომატებმა ამ შემთხვევაში ამჯობინეს სიჩუმე: მათთვის უფრო მნიშვნელობა აქვს ლეგენდის გავრცელებას ლოკარნოს უნივერსალურ - პაციფისტურ კეთილ განზრახვების შესახებ. ამიტომ ისინი ამჯობინებენ თეთრს შავი უწოდონ და პირიქით, ხოლო კულისებს გარეთ განაგრძობენ იმპერიალისტურ ინტრიგების ქსელის გაბმას ჩვენს წინააღმდეგ.

ინგლისურ ჟურნალ „სპექტატორ“-ის 24 აპრილის ნომერში, მას შემდეგ, რაც იქ აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც არ შედიან ლიგაში, აქვთ ურთიერთ შორის დადებული ხელშეკრულებანი,—ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„რა საჭიროა იმის თქმა, რომ გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულება უმნიშვნელო საქმეა. ასეთი აზრი, რასაკვირველია, იქიდან წარმოსდგება, რომ არც გერმანია და არც საბჭოთა კავშირი ლიგაში არ შედიან. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გერმანია-საბჭოთა შეთანხმება ალბათ არ იქნებოდა მიღწეული, რომ ლოკარნოს პოლიტიკა არ დამარცხებულიყო ჟენევაში. ეს ხელშეკრულება გამაფრთხილებელია იმ აზრით, რომ თუ გარემოება აიძულებს გერმანიას, ის მალე იპოვნის საშუალებას, რათა გვერდი აუხვიოს ლოკარნოს. ერთად ერთი სწორი გამოსავალი მდგომარეობიდან არის ის, რომ გერმანია იქნეს შეყვანილი წევრად ლიგაში და მომავალ შემოდგომაზე ხელახლა არ შეფერხდეს ეს საქმე“.

ინგლისის იმპერიალისტები ყოველნაირათ ცდილობენ ეხლა მოიგონ გერმანიის გული და ისევე არ შესცდენ, როგორც ეს ჟენევაში მოუვიდათ. ისინი, რასაკვირველია, არ დასტოვებენ თავიანთ წინანდელ განზრახვებს. თავიანთ ანტისაბჭოთა ზრახვების განხორციელებას ისინი შემდეგშიაც შეეცდებიან. არ დასთმობენ გერმანიის თავიანთ იარაღათ გადაქცევის იმედს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ანტისაბჭოთა აგრესიულ კომბინაციებს საზღვარი აქვს დადებული „მეორე რაპალოთი“.

პირველი რაპალო გაამართლა ცხოვრებამ. სარგებლობის გარდა გერმანიასა და საბჭოთა კავშირისათვის მას არაფერი მოუტანია. ასეთი იქნება მეორე რაპალოც, და ამას ანგარიში უნდა გაუწიონ როგორც ინგლისის, ისე სხვა ქვეყნების იმპერიალისტებმა.

* * *

მორიგი ლაყბობა

ჟენევაში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმ კომისიის, რომელსაც დაკისრებული აქვს საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მომზადება. ასეთი კონფერენციის მოწვევა განზრახულია შემოდგომისათვის, განიარაღების კონფერენციასთან ერთად.

საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის იდეა დიდი ხანია, რაც წარმოიშვა ევროპაში, ხოლო ლოკარნოს შემდეგ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლოკარნოში თითქო მოხდა ერთგვარი პოლიტიკური შეთანხმება დასავლეთ ევროპის მთავარ სახელმწიფოებს შორის, რასაც უნდა უზრუნველეყო მშვიდობიანობა დასავლეთში. ჩვენ ვიცით ამ „შეთანხმების“ ნამდვილი ფასი, მისი სრული უნიადაგობა ყველაზე უფრო ნათლად გამოაშკარავდა ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაში, რომელზედაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნების გარდაუვალი ინტერესები. ლოკარნოს ხელშეკრულებას და თვით ერთა ლიგის ავტორიტეტს აქ ლახვარი ჩაეცა.

ყველასათვის ცხადია, რომ ფუჭია ლაპარაკი საერთაშორისო მშვიდობიანობასა და განიარაღებაზე, სანამ არსებობენ ის ეკონომიური ინტერესთა წინააღმდეგობანი, რომლებიც აუცილებელს ხდიან ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას. ამიტომაცაა, რომ ბურჟუაზიულ მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწენი იწვევენ ეკონომიურ კონფერენციას, რომელსაც დაკისრებული აქვს სამეურნეო თანამშრომლობის განხორციელება კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის. ეკონომიური კონფერენცია მჭიდროთაა დაკავშირებული განიარაღების კონფერენციასთან. საფრანგეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგის სესიაზე, ლუშერმა, ასე განმარტა ეს კავშირი: „მოწესრიგებული მსოფლიო მეურნეობა საერთაშორისო უშიშროების, განიარაღების და მშვიდობიანობის ყველაზე უფრო მძლავრი ფაქტორი და გარანტია იქნება“-ო.

როგორ ესმით ევროპის ეხლანდელ მესვეურთ „მოწესრიგებული მსოფლიო მეურნეობა“, რა საკითხები აქვს გადასაჭრელი განზრახულ ეკონომიურ კონფერენციას? იგივე ლუშერი ამბობს: „მიუხედავად მთავრობების საზეიმო დეკლარაციებისა თანამშრომლობისაკენ მათი მისწრაფების შესახებ, საქმით ისინი, თავისი სატარიფო პოლიტიკის წყალობით, ნიადაგს ამზადებენ ახალი კონფლიქტისათვის, ვინაიდან სატარიფო ომებს შეუძლიანთ ნამდვილი ომები გამოიწვიონ“-ო. სატარიფო (საბაჟო) საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი საგანია ეკონომიურ კონფერენციის.

დღეს მთელი ევროპა დასერილია მაღალი საბაჟო კედლებით. ამის გამო გასაღების კრიზისი მძვინვარებს ევროპაში. საფრანგეთი, გერმანია, იტალია თავის სამრეწველო საქონლისათვის ბაზარს ვერ შოულობენ. მათ სურთ უფრო სუსტად განვითარებულ ქვეყნებში შემზღუდველ ტარიფების მოხსნა. მაგრამ ეს იქნება მათ მიერ უკანასკნელთა ეკონომიური დამორჩილება და მათი ახლად გაფურჩქნილ საწარმოო ცხოვრების ჩაკვლა. ამავე დროს საფრანგეთმა და იტალიამ თავისი იაფი საქონლით, რაც აიხსნება ინფლიაციით, დაიპყრეს მთელი რიგი ბაზრები. დღეს ორივე ეს ქვეყანა დგას ვალიუტის სტაბილიზაციის ამოცანის წინაშე. ამ სტაბილიზაციის მოლოდინში მათ უნდათ შეინარჩუნონ ეს ბაზრები იქ ბაჟების გაუქმებით. ამნაირად, ბაჟების საკითხში, ე. ი. მფარველობითი სისტემის საკითხში, არსებობს გარდაუვალი წინააღმდეგობა ინდუსტრიალურად განვითარებულ და ამ მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნებ შორის. ეს წინააღმდეგობა ამაოდ ხდის რაიმე მკვიდრ შეთანხმების მიღწევის ცდას საბაჟო პოლიტიკაში.

კერძოდ აღსანიშნავია ინგლისის პოზიცია ამ საკითხში. ინგლისი საერთოდ აღმაცერად უცქერის ევროპის საბაჟო კავშირის იდეას, რომელსაც აყენებენ უმთავრესად საფრანგეთი, გერმანია და იტალია. საქმე ის არის, რომ ინგლისში საქონელი შედარებით ძვირია, რაც აიხსნება როგორც იქ კარგა ხნიდან მტკიცე ვალიუტის არსებობით, ისე სხვა მთელი რიგი მიზეზებით. ამიტომ მისთვის ხელსაყრელი არ არის ღია კარების პოლიტიკა, რომლის დროს მას სასტიკ კონკურენციას გაუწევენ სხვა ქვეყნები. ინგლისმა დააწესა კიდეც საერთოდ მაღალი ბაჟები როგორც მეტროპოლიაში, ისე თავის კოლონიებში და დომინიონებში. ინგლისი ამასთან ცდილობს სხვა ქვეყნებში შექმნას თავისათვის შეღავათიანი პირობები საქონლის გასასაღებლად.

რაც შეეხება ამერიკას, იგი მოწადინებულია არ დაუშვას ევროპის ეკონომიური შეთანხმება, რომელსაც შეუძლია მისი საწინააღმდეგო ხასიათი მიიღოს. ამავე დროს ამერიკას გაგონებაც არ სურს სატარიფო საკითხის გადასინჯვაზე: იგი აწესებს [illegible] თვის სასარგებლო [illegible].

სატარიფო საკითხში არსებობს წინააღმდეგობა, ერთის მხრივ საფრანგეთსა და იტალიასა, მეორე მხრივ გერმანიას შორისაც. სამივე თანახმაა ევროპის საბაჟო უნიის შექმნაზე. მაგრამ დავას იწვევს გავლენის სფეროების განაწილების საკითხი. გერმანია არ ფიქრობს მთლიანად დაუთმოს საფრანგეთსა და იტალიას ის ბაზრები, რომლებიც მათ დაიპყრეს ინფლიაციის პერიოდში.

მეორე საკითხი, რომელიც დგას მომავალ ეკონომიურ კონფერენციის დღის წესრიგში, არის საკითხი ევროპის ერთიანი ვალიუტის შემოღების შესახებ. ეს აზრი ეკუთვნის ინგლისს. ინგლისი აყენებს წინადადებას დაარსებულ იქნას ევროპის საემისიო ბანკი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ოქროთი. ამასთან უნდა გატარდეს ფულის უნიფიკაცია საგარეო ვაჭრობისათვის. ხოლო თვითეულ ქვეყნის შინაურ ბაზარზე დარჩება ნაციონალური ვალიუტა. ამ წინადადებას მხარს უჭერს გერმანიაც, რომელსაც ზიანს აყენებს საფრანგეთის და ზოგიერთ სხვა ქვეყნის გაფასებული ფული. ამ გზით სურთ დაამარცხონ საფრანგეთის, იტალიის და სხვა მერყევი ვალიუტის ქვეყნების კონკურენცია. უკანასკნელთათვის ევროპის საერთო ვალიუტის შემოღება უეჭველად საზიანოა. ამერიკა კი ესალმება ევროპის საემისიო ბანკის დაარსებას, ვინაიდან ამისათვის მისი კაპიტალი იქნება საჭირო. ამ იდეის განხორციელება საბოლოო ანგარიშით ნიშნავს მთელი ევროპის დაუესიზაციას.

კონფერენციაზე უნდა დასმულიყო ნედლი მასალის განაწილების საკითხი, მაგრამ ის ამერიკის მოთხოვნით მოიხსნა, ვინაიდან ამერიკას სურს მისცეს დამშეულ ბაზრებს თავისი ნაწარმოები და არა დაეხმაროს მათ ნედლეულის გამონახვაში. ეს ეწინააღმდეგება ამერიკის ინტერესებს.

კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო საბჭოთა კავშირიც, მაგრამ მისი ინიციატორები ნამდვილად დაინტერესებული იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები არ დაეშვათ კომისიაში და კონფერენციაზე, ვინაიდან ჩვენ იქ გადავშლიდით ჩვენს პროგრამას მსოფლიო მეურნეობის აღსადგენად და ვამხელდით კაპიტალისტურ ქვეყნების მესვეურთა გაიძვერობას. ამიტომაც ჟენევაში დანიშნეს როგორც კომისიის, ისე კონფერენციის სხდომები. თავისთავად ცხადია, ჟენევაში საბჭოთა კავშირი ვერ გაგზავნიდა თავის დელეგატებს, როგორც ვერ გაგზავნა განიარაღების კონფერენციაზე.

კომისიის მუშაობა თითქმის ფარულად სწარმოებს. იქ ხდება ვაჭრობა კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის, თუ რა საკითხები იქნეს დასმული მომავალ კონფერენციაზე, თუ როგორ შეთანხმდენ სუსტი ქვეყნების გაძარცვასა და დამონებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მთელ რიგ საკითხებში კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის არსებობს შეურიგებელი წინააღმდეგობანი, რომელთა მოგვარება არავითარი ვაჭრობით და კომისიებით არ შეიძლება. „მოწესრიგებული მსოფლიო მეურნეობა“ სისულელეა, ოცნებაა კაპიტალიზმის პირობებში. ამას ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს ჟენევის ეხლანდელი კომისიის მუშაობის შედეგები და მომავალი ეკონომიური კონფერენცია.

* * *

გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ

კრესტინსკის პატივსაცემად შტრეზემანმა ბანკეტი გამართა

საბჭოთა კავშირსა და კანადას შორის კულტურული ურთი-ერთობა მტკიცდება

მოსაზღვრე სახელმწიფოთა პრესა გაცხოველებით მსჯელობს ხელშეკრულების შესახებ

საბჭოთა კავშირის და ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ფართოვდება

ნადიმი შტრეზემანთან

ბერლინი, 28 აპრილი. შტრეზემანმა 28 აპრილს გამართა ნადიმი გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო. ნადიმზე გამოცხადდენ საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიაში **კრესტინსკი**, **საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბეგგე და სრულუფლებიან წარმომადგენლების ზოგიერთი თანამშრომლები.** გერმანიის მხრივ —რეიხსკანცლერი **ლიუტერი**, გერმანიის მთავრობის წევრები, პრუსიის პრემიერი **ბრაუნი**, მოლაპარაკებაში მონაწილე პირები და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომლები.

შტრეზემანის პროტესტი

ბერლინი, 29 აპრილი. შტრეზემანმა ბუდაპეშტში გაგზავნა წერილობითი ნოტა, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ჰუნგრეთის პარიზელ ელჩის დიამანდის განცხადების წინააღმდეგ.

დიამანდიმ „მატენის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ „ჟენევაში გერმანიამ მოკავშირეებს უჩვენა მომღიმარი სახე, მეორე სახე კი მიიბრუნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისაკენ“.

ურთიერთობა კანადასთან

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. **მონრეალში (კანადა) გაიმართა კანადის და საბჭოთა კავშირის კულტურულ კავშირის საზოგადოების პირველი საერთო კრება.** კრებას დაესწრო მეცნიერების და ხელოვნების 100-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის მონრეალის და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლის რამდენიმე პროფესორი.

[illegible] თავმჯდომარემ განაცხადა, რომ [illegible] კულ- [illegible] რევოლუციის შემდეგ. ეს კულტურული მუშაობა სასურველ შედეგს მოუტანს როგორც კანადას, ისე საბჭოთა კავშირს.

კანადის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს კრების მოწვევას.

საზოგადოების თავმჯდომარეა პოლკოვნიკი **მეკკი**, რომელმაც ამას წინად ინახულა საბჭოთა კავშირი.

დამოკიდებულება ინგლისთან

ლონდონი, 28 აპრილი. „დეილი ქრონიკლ“-ის (ლოიდ-ჯორჯის ორგანო) დიპლომატიური კორესპონდენტი ეხება ლონდონში მიღწეულ ცნობებს უცხოეთის კონცესიების მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირში, როგორც მაგალითად: „ლენა გოლდფილდს“, ჰარიმანის შავი-ქვის კონცესია და სხვ.

ეხება რა მთავარ საკონცესიო კომიტეტის მუშაობას, კორესპონდენტი სწერს, რომ **„უკანასკნელმა ალბად განიხილა ყველა შუამდგომლობანი, რომელთაც ჰქონდათ რაიმე საფუძველი; საბჭოთა კავშირის მუშურ კანონმდებლობას არ შეუქმნია არავითარი დაბრკოლებები კონცესიონერთა მუშაობისათვის“.**

დასასრულ კორესპონდენტი სწერს: „საბჭოთა კავშირში კაპიტალის სიმცირის გამო, პოლიტიკა ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისა უცხოელთათვის კონცესიების მიცემის გზით, მომავალში ალბად კიდევ უფრო განვითარდება და გაფართოვდება“.

შეთანხმების ცდა

ვარშავა, 28 აპრილი. გაზეთ „ექსპრეს პორანი“-ს ცნობით საბჭოთა კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის გამართულ მოლაპარაკების გამო პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი იანკოვსკი სპეციალურ დელეგატათ ბალტიის სახელმწიფოებში.

სეიმის წრეების აზრით, დელეგატი იგზავნება იმ მიზნით, რათა შეთანხმებულ იქნეს ბალტიის სახელმწიფოების პოლიტიკა პოლონეთის მთავრობის ხაზთან.

სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან

მოსკოვი, 29 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელის მოადგილემ საფრანგეთში **ლომოვსკიმ** განაცხადა:

„ჩვენი სავაჭრო ბრუნვა საფრანგეთში საგრძნობლად გაიზარდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მომავალი სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან კიდევ უფრო მჭიდრო იქნება. საფრანგეთში ძალიან განვითარდა ლითონის მრეწველობა, მანქანების, გემების, ორთქლმავლების, რონოდების აღმშენებლობა, ელექტრონის და ავტომობილების მრეწველობა. ამგვარად საბჭოთა კავშირის მრავალი მოთხოვნილებანი ჩვენი მრეწველობის მოწყობილებათა დარგში, წარმატებით იქნება დაკმაყოფილებული საფრანგეთის მიერ.

ჩვენი მუშაობა საფრანგეთში საექსპორტო დარგში მნიშვნელოვნად განვითარდება და ჩვენი ექსპორტი საფრანგეთში გადააჭარბებს ომის წინა დროის დონეს არა მარტო პურის, ნავთის, ხე-ტყის და სელის გატანის მხრივ. ამიტომ სხვა საქონლის გატანის მხრივაც. სავაჭრო ხელშეკრულე- [illegible] ბაზე, დიდი ბაჟები იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც ხელშეკრულება არა აქვთ დადებული საფრანგეთთან და აგრეთვე სხვა გადასახადები ჩვენს საქონელზე და ჩვენი მტრების არაკეთილსინდისიერი აგიტაცია, — ყველაფერი ეს ძალიან ართულებს ჩვენ საექსპორტო მუშაობას საფრანგეთში.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი დელეგაციის მოლაპარაკება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის შორის ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან აცილებას და ნორმალურ ურთიერთობის განვითარებას.

პრაღის პრესა

პრაღა, 28 აპრილი. **პრაღის ყველა გაზეთები ათავსებენ წერილებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „პრაგერ პრესე“ სწერს: „ხელშეკრულების გამოქვეყნებული ტექსტი არ ამართლებს ყველა იმ შიშს, რომელიც გამოთქმული და დაწერილი იყო ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულების ანალიზი, რომელიც უნდა იქნეს გაკეთებული, დაგვანახვებს, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ის ერთა ლიგის წესდების მე-16-ე და მე-17-ე მუხლებს. **ჩეხოსლოვაკია დაუცდის სხვა სახელმწიფოების მიერ აზრის გამოთქმას**, რადგან მას ამ საკითხში განსაკუთრებული მიზნები არა აქვს.

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 28 აპრილი. მუშათა პარტიის წევრმა **ვეჯვუდმა** თემთა პალატაში წარადგინა შემდეგი შეკითხვა: ეთანხმება თუ არა ინგლისის მთავრობა ბენეშის აზრს, რომელიც აღიარებს, რომ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი ლოკარნოს ხელშეკრულებაზე, უფლება აქვთ დაავალონ გერმანიის [illegible] ვალდებულება არ იკისროს რუსეთის მიმართ ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობა, როცა მან მიმართა გერმანიას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყების გამო, მოქმედებდა ყველა დანარჩენ მთავრობისაგან დამოუკიდებლად.

ვეჯვუდი შეეკითხა: იქნებ ჩემბერლენი დაასახელებს მიზეზებს, რომელმაც აიძულა ინგლისის მთავრობა არ შეერთებოდა ბენეშის აზრს.

ჩემბერლენმა უარყოფითი პასუხი გასცა და დასძინა, რომ მას ჯერ კიდევ საშუალება არ ჰქონია დაწვრილებით განეხილა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.

ინგლისის პრესა

ლონდონი, 28 აპრილი. ინგლისური ყველა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **აუცილებლად საჭიროა გერმანია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ზედმიწევნით დაკვირვებით განხილვა.**

„ტაიმსი“ სწერს:

„ხელშეკრულებამ შესცვალა მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში; ამის გამო დასავლეთის სახელმწიფოებმა სათანადოთ უნდა გადაათვალიერონ და შეამოწმონ თავიანთი შეხედულება ლოკარნოზე“.

ლიბერალურ **„მანჩესტერ გარდიენის“** აზრით გერმანიის მთავრობას ხელშეკრულების დადებით არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, რაც ზიანს მოუტანდა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლას“.

[illegible] „ვესტმინსტერ გა- [illegible] კავშირთან ხელშეკრულების დადებას შეუძლია გააძლიეროს დაბრკოლებები გერმანიის ერთა ლიგაში შესვლისათვის ლიგის სექტემბრის სესიაზე.

ფინეთის პრესა

ჰელსინგფორსი, 28 აპრილი. ფინეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საკითხს საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის.

ოფიციოზი „უუსი სუომი“ სთვლის, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული მეთოდი სადაო საკითხების შეთანხმებითი პროცედურით გადაჭრის შესახებ არ არის საკმარისი და მოითხოვს სავალდებულო არბიტრაჟის შემოღებას. პროგრესიული პარტიის გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ საკითხის მნიშვნელობას და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ „უუსი სუომის“ ტონის გამო, რომელშიაც, მათი აზრით, სჩანს საბჭოთა მთავრობის წინადადებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. პროგრესიული პარტიის ორგანო „ჰელსინკინ სანომატ“-ი მთავრობას ურჩევს ყურადღებით მოეპყრას საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხს. გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ აუცილებლად სთვლის საბჭოთა კავშირის წინადადების შეთანხმებას ერთა ლიგის წესდებასთან და ხელშეკრულების მიღწევის გზაზედ ხედავს დაბრკოლებებს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი არ სცნობს ერთა ლიგას.

მუშათა ბრძოლა

პრაღა, 28 აპრილი. **შესდგა ჩეხოსლოვაკიის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ყრილობა.**

მთავარი საკითხები, რომელიც ყრილობაზე ირჩეოდა, შეეხებოდა ერთიან ფრონტს. ორატორებმა დაახასიათეს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატი სდგას ეკონომიური კრიზისის წინაშე. ყრილობამ აღნიშნა, რომ ერთიანი ფრონტის შექმნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რის გამო გადასწყვიტეს მოუწოდოს პროლეტარიატს გაერთიანებისაკენ.

რეფორმისტული ორგანიზაციები უკვე შეუდგენ რეპრესიებს იმ წევრების წინააღმდეგ, რომელნიც ყრილობას დაესწრენ.

* * *

პირველი მაისის წინ

აკრძალეს

რომი, 28 აპრილი. იტალიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა აკრძალოს პირველ მაისს ყოველგვარი პროცესიები და დემონსტრაციები.

„დღიურად მომუშავე“ პოლიციელები

ვარშავა, 28 აპრილი. ზოგიერთი გაზეთების ცნობით, პირველი მაისის მოახლოების გამო, ვარშავის პოლიცია გაძლიერებულ იქნა „დღიურად მომუშავე“ პოლიციელების მიღებით. ასეთ პოლიციელებისათვის საჭიროა მხოლოდ იარაღის ხმარების ცოდნა და საკმაო ფიზიკური ძალა.

კრიზისი ინგლისში

ლონდონი, 28 აპრილი. 27 აპრილს ბალდუინის თავმჯდომარეობით შესდგა სამთა-მადნო მუშების და მაღაროების მეპატრონეების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. მაღაროების მეპატრონეები ამჟამად თანახმა არიან, რომ შეთანხმების საკითხი სრულიად ინგლისის მასშტაბით იქნეს დასმული. მაგრამ კვლავ მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას და სამუშაო დღის გადიდებას. ბალდუინმა მოითხოვა, რომ შეთანხმება 5 წლით იქნეს დადებული.

ამ მოლაპარაკებას მხოლოდ წინასწარი ხასიათი აქვს. ამ ჟამად ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს ინგლისის სამთა-მადნო მუშების ფედერაციის კონფერენცია, რომელიც 28 აპრილს იკრიბება.

ფედერაციის მდივანი თავის განცხადებაში დაჟინებით მოითხოვდა, რომ სამთა-მადნო მუშების სრულიად ინგლისის ფედერაციას არ განეხილა სამუშაო დღის გადიდების საკითხი.

ამასთან დაკავშირებით მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობამ გაზეთებს საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნა, რომელშიაც წინადადებას იძლევა მთელი ყურადღება სამუშაო დღის გადიდებისაკენ იქნეს მიქცეული.

მემანქანეების გაფიცვის წინ

ლონდონი, 28 აპრილი. სამხრეთ უელსის, ვიქტორიის და ტასმანიის შტატების ნახშირის მაღაროების მემანქანეებმა სამუშაო ხელფასის მომატება მოითხოვეს. თუ მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს, მემანქანეებს განზრახული აქვთ 5 მაისიდან გაფიცვა გამოაცხადონ. თუ გაფიცვა დაიწყო, მემანქანეებს შეუერთდებიან სამივე შტატის მაღაროების მუშები—რიცხვით 30.000 კაცი.

სამუშაო ხელფასის შემცირება

ლონდონი, 28 აპრილი. შრომის სამინისტროს ცნობით, ინგლისში 1925 წლის განმავლობაში სამუშაო ხელფასი კვირაში 160000 გირ. სტერლინგით შემცირდა. ხელფასის შემცირება გავრცელდა უმთავრესად ნახშირის და ტრანსპორტის მუშებზე.

* * *

რადიჩის პარტიის დევნა

ვენა, 28 აპრილი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დევნა დაუწყო რადიჩს. უკანასკნელმა თავის მხრივ განაცხადა, რომ გაზეთურ კამპანიას აწარმოებს მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვს პარლამენტის დათხოვნას.

ბელგრადის პრესა აცხადებს, რომ **მთავრობა რადიჩის პარტიას კანონის გარეშე გამოაცხადებს. სამხრეთ-სლავიის კანონების მიხედვით რადიჩი, რომელსაც წართმეული აქვს სადეპუტატო ხელმძღვანელობის უფლება, შეიძლება დაპატიმრებული იქნას მინისტრის შეურაცყოფისათვის.**

უკანასკნელი ცნობები

სუედა ფრანგებმა დაიკავეს

ლონდონი, 28 აპრილი. გაზეთ „დეილი მეილ“-ის სპეციალური კორესპონდენტის ცნობით, სუედა კვლავ ფრანგებმა დაიკავეს (სუედა დრუზების ხელში იყო გასული წლის სექტემბრიდან). ქალაქის დაკავებას წინ უძღოდა გაფართოებული ბრძოლა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთებზე. დრუზების ჯარები სასტიკად დაზარალდენ.

„ტან“-ი გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.

პარიზი, 28 აპრილი. „ტან“-ი არჩევს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შინაარს და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ლოკარნოს და ერთა ლიგის წინააღმდეგ არის მიმართული.

„ძნელია სწერს გაზეთი, ამ ხელშეკრულების შეთანხმება ერთა ლიგის პოლიტიკასთან“.

სოლიდარობის ნიშნად

პარიზი, 28 აპრილი. საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს ინგლისის სამთამადნო მუშებს და აღუთქვამს მას ყოველმხრივ დახმარებას.

ლატვიის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 28 აპრილი. ლატვიის კაბინეტი, რომელსაც ულმანესი თავმჯდომარეობდა, გადადგა, რადგან პარლამენტმა ბიუჯეტი არ დაამტკიცა.

რიფებთან მოლაპარაკება

პარიზი, 28 აპრილი. რიფების დელეგატებმა გუშინ საღამოს ჩაიბარეს ნოტა, რომელშიაც მოყვანილია პირობები რიფების ოლქის ავტონომიის შესახებ.

რიფების პასუხს დღეს მოელიან.

მოლაპარაკება გრძელდება

ლონდონი, 29 აპრილი. ბალდუინის შუამავლობა ჯერ კიდევ შედეგს ვერ აღწევს ნახშირის მრეწველობის კრიზისის დაძლევის საქმეში.

დღეს დილით მაღაროების მეპატრონეების წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოსთან.

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 29 აპრილი. მილების გამყვანი მუშების ბერლინის სექციის აღმასკომის არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს. სექციის თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ კომუნისტები გავიდენ.

პარიზის კომუნის ვეტერანის გარდაცვალება

პარიზი, 28 აპრილი. გარდაიცვალა პარიზის კომუნის მონაწილე ჟან-ბატისტ დიუმე.

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ლენინგრადი, 29 აპრილი. ამუნდსენის ექსპედიციის გაფრენაში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი **ლებედევი**, „როსტას“ ლენინგრადის ბიუროს გამგე.

შარშან ლებედევი მონაწილეობას იღებდა გადაფრენაში მოსკოვიდან პეკინამდე.

* * *

მოლაპარაკება რიფებთან



ზევით: [illegible] საფრანგეთის დელეგატი **სიმონი. ქვევით**. შენობა უჯდაში, სადაც სწარმოებს მოლაპარაკება [illegible] და აბდ-ელ-ქერიმის დელეგატებს შორის.

პარიზი, 29 აპრილი. **უჯდიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გენერალმა სიმონმა გადასცა რიფების დელეგაციის ნოტა, რომელიც განსაზღვრავს რიფების ოლქის ადმინისტრაციის ხასიათს. რიფები თავის პასუხს დღეს წარმოადგენენ.**

„პტი პარიზიენის“ ცნობით რიფებს განზრახული აქვთ მიიღონ საფრანგეთ-ესპანეთის თეზისი ტომების განიარაღების და კონტროლის დაწესების შესახებ.

* * *

აურ-ზაური პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 28 აპრილი. პოლონეთის სეიმში მაისის და ივნისის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის განხილვის დროს, **სეიმის მემარცხენე ჯგუფებმა დიდი ობსტრუქცია მოაწყვეს. დაიწყო საშინელი ხმაურობა. დარბაზში მოისმა ლანძღვა-გინება კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრის ძჟეროვსკი და სახალხო განათლების მინისტრის სტანისლავ გრაბსკის წინააღმდეგ.**

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დეპუტატმა მარეკმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც შეეცადა გაემართლებია პოლონეთის სოციალისტური პარტიის მუშაობა მთავრობის შემადგენლობაში უკანასკნელ დროს. მან საყვედურით აღნიშნა, რომ პოლ. სოც. პარტიამ ვერ მოახერხა შეთანხმების მიღწევა მემარჯვენეებთან, რომლებიც თავის კლასობრივ ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებზე ზევით აყენებდენ. მარეკს არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ირონიული შენიშვნებით მუშათა და გლეხთა ბლოკის სკამებიდან და ხმა მაღლა სიცილით მემარჯვენეთა სკამებიდან.

გლეხთა პარტიის დეპუტატმა გააკრიტიკა არსებული მთავრობა და განაცხადა, რომ ის ხელს აფარებს მნიშვნელოვან ბოროტმოქმედებებს და ხაზინის ძარცვას, ქურდებს არ აძლევს პასუხისგებაში, ხოლო იმ პირთ, რომელნიც გამოამჟღავნებენ ბოროტმოქმედებას, სდევნის და სამსახურიდან ითხოვს.

კომუნისტი დეპუტატი **ვარსკი**, ფარდას ხდის, რა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის როლს კოალიციონური მთავრობის შექმნაში, აღნიშნავს, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიზანია ბურჟუაზიისათვის დახმარების გაწევა და ამიტომ კოალიციონური მთავრობის შემადგენლობა, მიუხედავათ, სოციალისტ მინისტრების წასვლისა, არსებითად არ შეცვლილა და კაბინეთმა მხოლოდ მიიღო უფრო მკაფიოდ გამოხატული ფიზიონომია. აღნიშნა რა, რომ კოალიციონური მთავრობა ნიადაგს ამზადებს მემარჯვენეთა დიქტატურის დასამყარებლათ, ვარსკიმ წინადადება მისცა სეიმს უარჰყოს წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ გამოლაშქრეს აგრეთვე გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის, მუშათა და გლეხთა ბლოკის, ბელორუსთა კავშირის, გლეხთა პარტიის, პოლონეთის სოციალისტური პარტიის, ვიზვოლენიეს, შრომის ჯგუფის, ოკონის ჯგუფის ორატორებმა და ყველა ეროვნულ უმცირესობის ფრაქციებმა.

კენჭის ყრის დროს ხარჯთ-აღრიცხვას ხმა მისცა 200 კაცმა, წინააღმდეგ—156-მა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საქონლის ბირჟების როლი

მოსკოვი, 29 აპრილი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კამენევი შეეხო საქონლის ბირჟების როლს საშინაო ვაჭრობაში და განაცხადა.

„სამწუხაროდ, დღემდე საქონლის ბირჟების აქტივობა ვერ არის სათანადოთ განვითარებული. მომავალში ბირჟები უნდა ვაქციოთ სახელმწიფო ორგანოების ძლიერ ბერკეტად საქონლის ბრუნვის მოწესრიგების საქმეში. კერძოდ, პურის დამზადების კამპანიის ორგანიზაციის საქმეში ბირჟებმა გაცილებით უფრო ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ, ვინემ აქამდე. მომჭირნეობის რეჟიმი უნდა შეითვისონ ბირჟების მუშაკებმა და უნდა გაატარონ ის გაძლიერებული ტემპით.

კერძო კაპიტალის როლი

მოსკოვი, 29 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან 28 აპრილს გაიმართა თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენება კერძო კაპიტალის მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო კრედიტში.

გამოირკვა, რომ კერძო კაპიტალის მონაწილეობა სახელმწიფო კრედიტში აბსოლიუტურ ციფრებში თანდათან იზრდება

1 მაისი

მოსკოვი, 29 აპრილი. **„რემედას“-ის ცეკა 1 მაისს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მნიშვნელოვან ცენტრებში გზავნის პოლიტიკურ ემიგრანტებს საპირველმაისო მიტინგების ჩასატარებლად.**

ფასების დაკლება

მოსკოვი, 29 აპრილი. **28 აპრილს გაიმართა კოოპერატივებში ფასების დამკლებ კომისიის პირველი სხდომა. კომისიის აზრით, კოოპერაციამ უნდა დაიჭიროს ერთ-ერთი პირველი ადგილი იმ სავაჭრო ორგანიზაციებს შორის, რომელნიც აწარმოებენ ბრძოლას ფასების დაკლებისათვის.**

გადასწყდა ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ ფასების დამკლებ ცენტრალურ კომისიის დაევალოს ზედნადები ხარჯების შესწავლა.

უკრაინა

ნახშირის ამოღება

ხარკოვი, 29 აპრილი. მიმდინარე
წლის პირველ ნახევარში დო
ნახშირის მაღაროებში ამო
434 მილიონი ფუთი ნახ
რაოდენობა იყო 418 მილ
ეს ამოღება სარეკ
წელ 9 წლის განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის შედეგები

ამხ. ა. ნაზარეტიანის მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 28 აპრილს

ჩვენი უახლოესი ამოცანები

„ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ მე-14 პარტყრილობის დღის წესრიგიდან ცნობილი მიზეზით მოხსნილი იყო მოხსენება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. წარმოიშვა თითქოს ფრიად სერიოზული უთანხმოებანი სამეურნეო მდგომარეობის და სამეურნეო პოლიტიკის შეფასებაში. ცეკას დაევალა დაამუშავოს ეს საკითხი და გაატაროს ცხოვრებაში გადაუდებელი ღონისძიებანი ამ დარგში.

ცეკას აპრილის პლენუმის დღის წესრიგი, რომელიც შესდგებოდა 4 საკითხისაგან, გარდა მეოთხე საკითხისა ცეკას მდივანის ამხ. ევდოკიმოვის ნაცვლად ამხ. შვერნიკის დანიშვნის შესახებ, მთლიანად შესდგებოდა სამეურნეო ხასიათის საკითხებისაგან, პირველი მუხლი—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის და ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ, მეორე მუხლი—ჩვენი პურის დამზადებელ აპარატების რეორგანიზაცია მათი გამარტივების და გაიაფების მხრივ. მესამე მუხლი—პოლიტბიუროს და ცეკას პლენუმის მუშაობის გეგმა 1926 წლისათვის.

ყველა ეს სამივე საკითხი, არსებითად წარმოადგენს ერთ საკითხს: ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის და ჩვენი პარტიის პოლიტიკის შესახებ. სწორედ ეს საკითხი წარმოადგენდა აპრილის პლენუმის მთავარ საკითხს. ამ პლენუმმა შეასრულა მე-14 პარტყრილობის საერთო დირექტივა, გამოიმუშავა ფართო პრაქტიკული პროგრამა და პრინციპიალურად დააყენა ყველა სამეურნეო საკითხები.

მე ვაგონებ ამხანაგებს მე-14 პარტყრილობის დირექტივებს:

„უნდა ვაწარმოვოთ ეკონომიური მშენებლობა ისეთი თვალსაზრისით, რათა საბჭოთა კავშირი მანქანების და მოწყობილობათა შემომტან ქვეყნიდან, გადაიქცეს მანქანების და მოწყობილობათა მწარმოებელ ქვეყნად, რათა ამნაირად საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში არ გადაიქცეს კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობის ეკონომიურ მაჩანჩალად, არამედ წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს, რომელიც შენდება სოციალისტურად და რომელიც თავისი ეკონომიური ზრდის წყალობით, უნდა გახდეს ყველა ქვეყნების და კოლონიების და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ ხალხთა გარევოლიუციონერების საშუალება".

„მოვამზადოთ შეძლებისდაგვარად ეკონომიური რეზერვები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქვეყანა ყოველგვარ შემთხვევითი მოვლენებისაგან, როგორც შინაურ, ისე საგარეო ბაზარზე".

პირველ რიგში უნდა დაისვას ამოცანა, რათა სოციალურმა სამეურნეო ფორმებმა გაიმარჯვოს კერძო კაპიტალზე, განმტკიცდეს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, განვითარდეს სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობა და მისი საშუალებით და კოოპერაციის დახმარებით სოციალისტურ მშენებლობაში ჩაებას რაც შეიძლება მეტი გლეხთა მეურნეობანი".

„უნდა უზრუნველვჰყოთ საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიური დამოუკიდებლობა, რაც იცავს საბჭოთა კავშირს კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობის მაჩანჩალად გადაქცევისაგან, რისთვისაც უნდა გავატაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, წარმოების და საწარმოო საშუალებათა განვითარება და რეზერვების შექმნა ეკონომიურ მანევრების საწარმოებლად".

„მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ წარმოების და საქონლის ტრიალის განვითარებას".

„გამოვიყენოთ ყველა რესურსები, დავიცვათ სასტიკი მომჭირნეობა სახელმწიფო საშუალებათა ხარჯვის დროს, გავადიდოთ სახელმწიფო მრეწველობის, ვაჭრობის და კოოპერაციის ბრუნვის სისწრაფე სოციალისტურ დოვლათის დაგროვების ტემპის გასაძლიერებლად".

„განვავითაროთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა გადიდებულ ტეხნიკურ დონეს საფუძველზე, მაგრამ ეს განვითარება უნდა მოხდეს, როგორც ბაზრის ტეობასთან, ისე სახელმწიფო ფინანსიურ შესაძლებლობასთან შეფარდებით".

„ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ საბჭოთა ადგილობრივ მრეწველობას, (რაიონი, ოლქი, გუბერნია, რესპუბლიკა), ყოველ მხრივ წავაქეზოთ ადგილობრივი ინიციატივა ისეთ მრეწველობის მოწყობის საქმეში, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის, განსაკუთრებით, გლეხობის მრავალგვარ მოთხოვნილებებს".

„ხელი შეუწყოთ და განვავითაროთ სასოფლო მეურნეობა, სამიწათმოქმედო კულტურის აწევის, ტეხნიკურ კულტურის გაუმჯობესების, მიწათმოქმედების ტეხნიკის აწევის (ტრაქტორიზაცია), სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, მიწათმოწყობის საქმის მოწესრიგების და სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე".

აპრილის პლენუმის რეზოლიუციაში სავსებით გათვალისწინებულია მე-14 პარტყრილობის ეს დირექტივები.

განვიხილოთ აპრილის პლენუმის რეზოლიუცია სამეურნეო მდგომარეობის და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების ახალი ფასი

ახალი ეკონომიური [illegible] ხუთი წლის ისტორიაა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა, როგორც ეს ამხ. ლენინმა აღიარა, მდგომარეობდა იმაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის, საქონლის ტრიალის განვითარების პირობებში ჩვენ უნდა ჩაუყაროთ სოციალისტური საძირკველი ჩვენს სახალხო მეურნეობას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში მთავარ ამოცანას შეადგენდა, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო მეურნეობის განმტკიცება და განვითარება. ამჟამად ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარება გადავიდა ახალ ფაზაში. ჩვენ ვიწყებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ასეთი განვითარება სრულიად ლოღიკურია: ნედლი მასალის და სასურსათო რესურსების უქონლობის დროს არ შეიძლებოდა ჩვენი მრეწველობის აღდგენა. ამავე დროს არავის არ შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ მძიმე მრეწველობის, ინდუსტრიის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის შენება.

რა მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი მსხვილ მრეწველობას? აი, რას ამბობდა ამხ. ლენინი მძიმე ინდუსტრიის შესახებ:

„ჩვენ ვიცით, რომ რუსეთს იხსნის არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში,—ეს კიდევ ცოტაა,—არა მარტო მსუბუქი მრეწველობის კარგი მდგომარეობა, რომელიც გლეხურ მეურნეობას აწვდის მოხმარების საგნებს,—ეს კიდევ ცოტაა,—ჩვენთვის საჭიროა აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია. საჭირო იქნება რამოდენიმე წლის მუშაობა, რათა კარგ მდგომარეობაში იქნას იგი ჩაყენებული".

შემდეგ: „მძიმე მრეწველობის აღდგენის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნით ვერავითარ მრეწველობას. უამისოთ კი ჩვენ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა".

შემდეგ: „ამჟამად—ამბობს ლენინი,—უმთავრეს გავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე [illegible] სამეურნეო პოლიტიკით. ყველა ქვეყნების მშრომელები უცქერიან საბჭოთა რესპუბლიკას, ყოველგვარ გამონაკლისის და ყოველგვარ გადაჭარბების გარეშე... ამ ასპარეზზე ბრძოლა გადატანილია მსოფლიო მასშტაბში. თუ ჩვენ გადავსწყვეტავთ ამ ამოცანას—მაშინ ჩვენ მოვიგებთ საერთაშორისო მასშტაბით **უსათუოთ და საბოლოოდ**. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ეძლევა ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ ფრონტზე ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ნელა, თანდათან,—ჩქარა არ შეიძლება,—მაგრამ მტკიცე წინსვლით".

ამგვარად, საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ინდუსტრია, სწორედ იგი არის სახალხო მეურნეობის ის სოციალისტური საძირკველი, რომლის შენებასაც ამხ. ლენინი სთვლიან ჩვენს მნიშვნელოვან ამოცანად. მაგრამ, როგორ უნდა ავაშენოთ ეს სოციალისტური საძირკველი? როგორ უნდა წავსწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და ამით სოციალისტური მშენებლობის საქმე?

ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში ლენინგრადის აქტივის კრებაზე აღნიშნავს აუცილებელ წინასწარ პირობებს ინდუსტრიალიზაციისათვის: 1) შინაური ბაზარი ჩვენში უმთავრესად გლეხურია, 2) ცოტად თუ ბევრად განვითარებული წარმოება სასოფლო მეურნეობაში და 3) სოფლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოყოფა მრეწველობის და მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს სამი წინასწარი პირობა უზრუნველყოფს ინდუსტრიას ნედლი და სასურსათო რესურსებით და მატერიალურ ბაზას უქმნის კავშირის სამრეწველო მშენებლობას. ამგვარად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იწყება სასოფლო მეურნეობის განვითარებით და განმტკიცებით.

ჩვენი სამეურნეო სიძნელენი

რით ხასიათდება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობა? რა პირობებში მიმდინარეობდა ქვეყნის სამეურნეო ძალების განვითარება? ეს განვითარება მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტების ხვედრითი წონის გაძლიერების ზრდით. ამ პირობებს აპრილის პლენუმი შემდეგნაირათ ახასიათებს:

„იგი მიმდინარეობდა მრეწველობის და სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიულად შექმნილ დისპროპორციის და ქვეყნის საერთო ეკონომიურ ჩამორჩენილობის პირობებში".

რაში გამოიხატა მრეწველობის ზრდა? ჩვენმა მრეწველობამ სასოფლო მეურნეობაზე და გლეხური მეურნეობის გაზრდილ ტეობაზე დაყრდნობით და მის მოთხოვნილებებთან შეგუებით, გაადიდა თავისი წარმოება 64%-ით 1924—25 წელს და ადიდებს მას 30—40%-ით მიმდინარე სამეურნეო წელს. მაგრამ მრეწველობის ასეთი ზრდა მაინც ჩამორ- [illegible] საწარმოო, ისე სამომხ- [illegible] მოთხოვნილების უფრო [illegible] საც შედეგად მო- [illegible] ნლის დიდი ნაკ- [illegible]

КОС.
„Кавка

- წელს, მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, მაინც იზრდება მრეწველობის და მუშათა კლასის როლი ჩვენი მეურნეობის მთელ სისტემაში. „მრეწველობა იზრდება გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მეურნეობის სხვა დარგები".

„მრეწველობის საერთო პროდუქცია წინა წელთან შედარებით იზრდება 30—40%-ით".

წელს, პირველად მრეწველობას ხმარდება დიდი თანხები მოწყობილობის გარდაქმნისა და ახალი მშენებლობისათვის, რაც ხელს შეუწყობს ინდუსტრიის გაფართოებას შემდეგ წლებში.

ჩვენი მეურნეობის, განსაკუთრებით, მრეწველობის განვითარების ტემპის საკითხზე ეკონომიურ ლიტერატურაში არსებობს ორი თვალსაზრისი: პრეობრაჟენსკი იცავს წმინდა ინდუსტრიალიზმის თვალსაზრის, რისთვისაც ის მოითხოვს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის შეცვლას, სოფლად გადასახადების მაქსიმალურად გადიდების მხრივ და ჩვენი ბიუჯეტის გადასინჯვას იმნაირად, რომ სამეურნეო ხარჯების უმეტესობა ხმარდებოდეს მრეწველობას. მეორე თვალსაზრისის წარმომადგენელს შანინს დასაშვებად მიაჩნია ინდუსტრიალიზაცია პირობით: იმდენად, რამდენადაც გაიზრდება საგარეო ვაჭრობა, რომლის განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენს განვითარების გზაზე დამდგარი სასოფლო-მეურნეობა, ე. ი. ის მიდის ინდუსტრიალიზაციისაკენ ქვეყნის აგრარიზაციის საშუალებით.

ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა უარჰყო ორივე ეს თვალსაზრისი. ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი, ფიქრობს, რომ მრეწველობის ზრდასა და სასოფლო მეურნეობის განვითარების შორის უნდა არსებობდეს მუდმივი ურთიერთმომქმედი კავშირი. მრეწველობის ან სასოფლო მეურნეობის ამ დარგში ყოველი წინ გადარბენა იქნება მუდმივი დისპროპორციის წყარო, რაც ქმნის უდიდეს სიძნელეს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. არ შეიძლება მრეწველობის მშენებლობა უგეგმოთ და იმ რესურსებთან და ფინანსებთან შეფარდებით, რომელიც ქვეყანას მოეპოვება. მრეწველობა უნდა იყოს შეფარდებული სახალხო მეურნეობის მთელ სისტემასთან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჰკარგავს თავის ხელმძღვანელ როლს სახალხო მეურნეობაში. ასეთი ხელმძღვანელი როლის თამაში მრეწველობას შეუძლია სახალხო მეურნეობის განვითარებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ჩამოსცილდება სასოფლო მეურნეობას. ამიტომ საჭიროა ისეთი გეგმის გამომუშავება, რომელიც არ შეამცირებს მრეწველობის ხელმძღვანელ როლს და მის განვითარებას შეუფარდებს სასოფლო მეურნეობის განვითარების და განმტკიცების ტემპს.

როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ზემოაღნიშნულ სამეურნეო სიძნელეებს? შეუფარდებლობა მრეწველობის პროდუქციასა და ქალაქის და სოფლის გადახდის უნარიან მოთხოვნილებას შორის გამომდინარეობს იქიდან, რომ მრეწველობის განვითარება ვერ ეწევა მოთხოვნილების ჩქარ ზრდას.

მაშასადამე ამ შეუფარდებლობის თავიდან აცილება შესაძლებელია მრეწველობის პროდუქციის გადიდებით. იმდენი საქონლის დამზადება, რამდენიც საჭიროა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. ამ საქონლის დამზადება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საშუალებით.

ცენტრალურ კომიტეტის აპრილის პლენუმი აღნიშნავს სამეურნეო სიძნელეთა შემდეგ ობიექტიურ და სუბიექტიურ მიზეზებს:

„მაგრამ, მიუხედავად მრეწველობის ასეთი ზრდისა, მაინც არსებობს შეუფარდებლობა მრეწველობის პროდუქციასა და საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნილების ზრდას შორის, რასაც შედეგათ მოჰყვა სამეურნეო საქონლის მწვავე ნაკლებობა" (ობიექტიური მიზეზები).

[illegible] ლები მიმდინარე წელს გამწვავებული იქნა ცუდი გეგმიანი ხელმძღვანელობით მეურნეობისადმი, რაც გამოიხატა იმაში, რომ გადაჭარბებული იყო პურის დამზადების, საექსპორტო-საიმპორტო, სავალიუტო და საკრედიტო გეგმა და ამასთან დაკავშირებით მრეწველობის განვითარების და კაპიტალურ მშენებლობის პროგრამაც.

გეგმების ცუდათ შედგენამ და განხორციელებამ კიდევ უფრო გაამწვავა საქონლის კრიზისი (სუბიექტიური მიზეზები).

სოფლის მხრივ მოთხოვნილების ერთბაშად გადიდება გამოწვეული იყო სასოფლო მეურნეობის პროდუქციის საერთო ზრდით, მისი საქონლიანობის გადიდებით, გლეხების დაბეგვრის შემცირებით და პურის ფასების ცოტაოდენი ზრდით, რაც გამოიწვია პურის დამზადების ცუდად დაყენებამ.

გადახდის უნარიან მოთხოვნილების ზრდა ქალაქის მხრივ გამოწვეულია ჯერ ერთი ხელფასის მნიშვნელოვანი გადიდებით 1925 წლის მეორე ნახევრიდან (და ამასთან ერთად სოციალურ დაზღვევის ხარჯების გადიდებით), ახალი მუშების მასიური ჩაბმით და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესუსტებით; მეორე—შტატების გადიდებით, როგორც სახელმწიფო, ისე სამეურნეო დაწესებულებებში და კოოპერაციაში; მესამე—კაპიტალურ მშენებლობის პროგრამის განხორციელებით, რაც საქონლის მასას გაადიდებს მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ და მძიმე ინდუსტრიის ჩქარი განვითარებით, რაც დამატებით მოთხოვნილებას უყენებს დამზადებულ საქონელს.

გარდა ამისა, ქალაქის გადახდის უნარიან მოთხოვნილების გადიდებაზე ერთგვარ გავლენას ახდენდა კერძო დაგროვების გადიდება საქონლის ტრიალის დარგში განსაკუთრებით საწვრილმანო და საბითუმო ფასების განსხვავების ნიადაგზე

ქალაქის მოთხოვნილების გაძლიერებას, რომლის დაკმაყოფილებას ხმარდებოდა მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი, არევ-დარევა შეჰქონდა საქონლის ტრიალში ქალაქსა და სოფელს შორის, ამცირებდა სოფელში საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოების შეტანას და ამით ასუსტებდა გლეხური მეურნეობის პროდუქტების მიწოდებას.

ყველაფერი ეს იწვევდა ფასების საერთო დონეს აწევას, საბითუმო და საწვრილმანო ფასების განსხვავებას, ართულებდა პურის დამზადების და მასთან დაკავშირებულ საექსპორტო-საიმპორტო გეგმის შესრულებას და ქმნიდა სიძნელეს ფულის ტრიალის დარგში. ასეთ პირობებში პურის დამზადების გეგმის შემცირებამ გამოიწვია საექსპორტო-საიმპორტო გეგმის შემცირება და საფრთხეში ჩააყენა აქტიური სავაჭრო და, ბოლოს და ბოლოს, საანგარიშო ბალანსის მიღება მიმდინარე წელს. ეს მით უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ფულის ტრიალის სიმტკიცისათვის, რომ წარსული წლის სავაჭრო ბალანსი პასიური აღმოჩნდა.

ცეკას აპრილის პლენუმი ამ სიძნელეთა საკითხს შემდეგნაირათ სწყვეტავს: „ასეთ პირობებში ინდუსტრიის განვითარება და საერთოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს იმ სერიოზულ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაჭრაზე დამოკიდებულია მთელი მეურნეობის შემდეგი ზრდა სოციალიზმის გამარჯვების გზაზე".

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლო მომავალში თავიდან ავიცილოთ ახალი დაბრკოლებები ახალი მოსავლის გასაღების დროს! ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ფიქრობს, რომ „მიმდინარე სამეურნეო წლის დაბრკოლებათა გადალახვა არ სპობს ახალ დაბრკოლებათა წარმოშობის შესაძლებლობას მომავალში, კერძოთ, ახალ მოსავლის გასაღების დროს. ამჟამად კიდევ გვაქვს სათანადო ჯანო- [illegible] ახალი მოსავლის რაოდენობა და შევადგინოთ თუნდაც დაახლოვებითი გეგმა მისი გასაღებისა. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ახალი მოსავლის წინაშე სახელმწიფო მრეწველობა კვლავ არა საკმაოდ შეიარაღებული აღმოჩნდეს საჭირო რეზერვების უქონლობის გამო როგორც ნედლეულის, ისე მომზადებულ ნაწარმოების მხრივ. რომ უზრუნველყოფილ იქნეს ნორმალური აღებ-მიცემობა სოფლად ახალი მოსავლის ასაღების დროს, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს მიიღოს დამატებითი ზომები სამრეწველო საქონლის მასის გასადიდებლად, რისთვისაც საჭიროა შეძლებისდაგვარად გადიდებულ იქნეს ნედლეულის შემოზიდვა საფეიქრო და ტყავის მრეწველობისათვის, ხოლო უკიდურეს საჭიროების დროს—გამზადებულ ნაწარმოებთა შემოზიდვაც საზღვარ-გარეთიდან!

ამრიგად ჩვენს ეკონომიკაში არსებულ დისპროპორციის საკითხის გადასაჭრელად ერთად-ერთი საშუალება ჩვენი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციაა.

კურსი ინდუსტრიალიზაციაზე

როგორც მეთოთხმეტე პარტყრილობის, ისე აპრილის პლენუმის მთავარი დირექტივი შეიცავს შემდეგ ლოზუნგს: „პარტია კურსს იღებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, როგორც სოციალიზმის მთავარ ბაზისზე".

რა არის ინდუსტრიალიზაცია? მძიმე მრეწველობის, ე. ი. ისეთი მრეწველობის შექმნა, რომელიც ამზადებს მანქანებს, ამზადებს საწარმოო საშუალებებს. ამიტომ მრეწველობის ყოველი დარგი როდი შეეფერება ცნებას „ინდუსტრიალიზაცია". როცა ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ვიწერთ მანქანებს და ამ მანქანებით ვამზადებთ ჩვენი მოთხოვნილების აუცილებელ საგნებს, ამით ჩვენ ვქმნით ერთგვარ დარგს მრეწველობისას, მაგრამ ასეთი წარმოებების შექმნა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ჩვენ შეგვიძლია ათი და ათი ათასი ქარხანა და ფაბრიკა გავხსნათ უცხოეთიდან გამოწერილ მანქანების შემწეობით, ჩვენ შეგვიძლია მთელი ჩვენი მხარე მოვფინოთ ასეთი ფაბრიკებით და ქარხნებით, მაგრამ ამით ჩვენი ქვეყანა სრულებითაც ვერ გახდება ინდუსტრიალურ ქვეყნად იმიტომ, რომ საკმარისია გაფუჭდეს ეს მანქანები, საკმარისია უცხოელ კაპიტალისტებმა უარი გვითხრან მანქანების მოყიდვაზე, რომ მთელი ჩვენი მრეწველობა ამ კაპიტალისტების ჟინიანობით ერთბაშად შეჩერდეს და მთელი ჩვენი ქვეყანა ერთბაშად იქცეს ღარიბ, დამშეულ ქვეყნად.

სხვა საქმეა, როცა ჩვენ თვითონ დავამზადებთ ჩვენს ქარხნებში და წარმოებებში ამ მანქანებს. მაშინ ჩვენი მრეწველობა უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი მძიმე მრეწველობის (ინდუსტრიის) მიერ, რომელიც განუწყვეტლივ მიაწვდის მას მანქანებს და მყისვე შესცვლის გაცვეთილ მოწყობილობას; მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით დამოკიდებული უცხოელ კაპიტალისტების ჟინიანობაზე; მაშინ ჩვენ მივაღწევთ სრულ ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. ლენინი.

მაშასადამე, ინდუსტრიალიზაცია—ეს არის ის მრეწველობა, რომელიც ამზადებს საწარმოო საშუალებებს. სავსებით მართალია ამხ. სტალინი, როცა ლაპარაკობს, რომ არიან ამ ქვეყნად ისეთი უგუნურები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ ივანე მრისხანე, რომელმაც ოდესღაც მრეწველობის ერთგვარი ჩანასახი შექმნა, ინდუსტრიალისტი იყოო. თუ ამ გზით წავედით,—ლაპარაკობს ამხ. სტალინი,—მაშინ პეტრე დიდს პირველი ინდუსტრიალისტი უნდა უწოდოთო.

რაში მდგომარეობს ინდუსტრიალიზაციის მთავარი ამოცანა? ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი ამოცანა ორგვარია. პირველია ბრძოლა ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, უცხოეთის კაპიტალის დამოკიდებულებისაგან სრული განთავისუფლებისათვის, კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემიდან ჩვენი კავშირის ეკონომიკის გაყოფა და მისი წარმართვა სოციალისტური მშენებლობის გზით. აქედან გამომდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მეორე ამოცანა—ბრძოლა სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად და ჩვენი მეურნეობის სოციალისტური საძირ- ლიზაციის ამ მთავარ ამოცანებთან ლიზაციის ამ მთავარ ამოცანებთან ველის შექმნა. ქვეყნის ინდუსტრია- ერთად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ინდუსტრიალიზაცია ადიდებს მრეწველობის ხვედრ წონას სახალხო მეურნეობაში, მას თავისი გზით მიჰყავს ეს სახალხო მეურნეობა და აწესებს შეფარდებას სყიდვითი უნარიან მოთხოვნილებისა და მრეწველობის პროდუქციის შორის, ე. ი. სპობს ეგრეთწოდებულ დისპროპორციას ჩვენს ეკონომიკაში.

შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა იმის შესახებ, თუ რამდენად ჩვენ სწორად განვმარტავთ ინდუსტრიალიზაციას. საკმარისია მოვიგონოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთავარი ძალა, რომლის შემწეობითაც ისინი ინარჩუნებენ თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას კოლონიებზე. ამ თვალსაზრისით სავსებით ნათელია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოთა კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში ერთგვარი მრეწველობა არსებობს, ეს კოლონიები სრულ ეკონომიურ მონობაში ჰყავთ მეტროპოლიებს.

რითი აიხსნება ეს? ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში არსებობს არა ინდუსტრია, არამედ წვრილი მრეწველობა, ე. ი. მოიპოვებიან ისეთი წარმოებები და ქარხნები, რომელნიც ამზადებენ არა საწარმოო საშუალებებს, არამედ უბრალო მოხმარების საგნებს. ამიტომ კურსი ინდუსტრიალიზაციაზე წარმოადგენს ახალ პერიოდს, ახალ ეტაპს, ახალ ფრონტს ჩვენი ბრძოლის სოციალისტური მშენებლობისათვის.

მატერიალური პირობები ინდუსტრიის შესაქმნელათ.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიის შექმნა? გაგვაჩნია თუ არა მატერიალური რესურსები მძიმე მრეწველობის შესაქმნელად ჩვენს კავშირში? მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ ოქტომბრის გამარჯვების შემწეობით დაგვრჩა ცარიზმისაგან ფაბრიკა-ქარხნების წარმოების, ტრანსპორტის და სხვ. სახით,—ყოველივე ეს მუშათა კლასის ენერგიული ღონისძიებებით და გლეხობის დახმარებით ჩვენ აღვადგინეთ, მივიყვანეთ სრულ დატვირთვამდე, კიდეც გავსცილდით ომის წინანდელ ნორმას ჩვენი მეურნეობის ზოგიერთ დარგში.

ძველი მოწყობილობა იცვითება, აუცილებელი ხდება ყველა ჩვენი ქარხნების, წარმოებების, ფაბრიკების გადახალისება. მაგრამ საკმარისი არ არის მარტო გადახალისება—ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს ათეულ და ასეულ ახალ წარმოებათა შექმნას, რომლებიც უნდა ამზადებდნენ საწარმოო საშუალებებს. მსხვილ მანქანების საამშენებლო მრეწველობას ესაჭიროება დიდძალი თანხები. საიდან გავაჩინოთ ის? თუმცა შეიძლებოდა ამ თანხების მიღება დასავლეთ-ევროპის და ამერიკის კაპიტალისტებისაგან, მაგრამ უცხოელ კაპიტალისტებს კარგად ესმით, რომ ინდუსტრიის შექმნა ჩვენს კავშირში ნიშნავს ჩვენი სახალხო მეურნეობის საბოლოო ეკონომიურ განთავისუფლებას და, ცხადია, მსხვილ სესხებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის განვითარება, ჩვენ უცხოეთიდან ვერ მივიღებთ. მაშასადამე, ჩვენ დაგვრჩენია ერთი საკითხის გადაჭრა: შეგვიძლია თუ არა ჩვენ უცხოეთიდან სესხების მიღების გარეშე ჩვენი კავშირის ინდუსტრიის შექმნა?

ამაზე დადებით პასუხს გვაძლევს ჩვენ აპრილის პლენუმის რეზოლიუცია.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ჩვენ შევსძლებთ შინაური სოციალისტური სიმდიდრის დაგროვებით, ისეთი რეზერვების შექმნით, რომლითაც მძიმე მომენტში შეგვეძლება თადარიგის დაჭერა.

დაგროვების რა წესებს უნდა მივმართოთ ამ მიზნის მისაღწევად? სიმდიდრის დაგროვების სხვადასხვა წესი არსებობს. აქ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ სიმდიდრის დაგროვება უცხოელ კაპიტალისტების წესით და საბჭოთა ქვეყნის წესით. დასავლეთ-ევროპის და ამერიკის [illegible] ლად მიმართავენ ძალიან ძარცვის საშუალებას. აშკარა თუ ფარულ ძარცვას. ძარცვავენ კოლონიებს, ყვლეფენ მუშათა კლასს, ყვლეფენ გლეხობას და ასეთი კაპიტალისტური დაგროვებით ჰქმნიან კაპიტალისტურ სახელმწიფოს ინდუსტრიას. სოციალისტური სახელმწიფო—ჩვენი კავშირი, ცხადია, დაგროვების ასეთ საშუალებას ვერ მიმართავს.

მაშ საიდან უნდა შესდგეს ჩვენი სოციალისტური სიმდიდრის დაგროვება?

აი, მთავარი ელემენტები: 1) პირველყოვლისა, ჩვენ საშუალება გვაქვს წელს მრეწველობას მოვახმაროთ დაახლოვებით 800 მილ. მანეთზე მეტი, თუმცა ჩვენს მრეწველობას გაცილებით მეტი თანხა ესაჭიროება; 2) ჩვენი ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა; 3) ჩვენი ნაციონალიზაციაქმნილი მიწები; 4) ნაციონალიზაციაქმნილი ტრანსპორტი; 5) საგარეო ვაჭრობის მონოპოლია; 6) ნაციონალიზაციაქმნილი ბანკები, 7) გაუქმებული მეფის ვალები, რომელთა გადაუხდელობა საკმაოდ გვიადვილებს სიმდიდრის დაგროვების საქმეს და, ბოლოს, ჩვენი კავშირის მუშათა კლასის ხელშია სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

დასასრულ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიმდიდრის დაგროვების საქმეში რესურსების ანგარიშიანად გამოყენებას და დაცვას.

არის ჩვენს მეურნეობაში ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, რომელთა მოძრაობაში მოყვანით შესაძლებელი იქნება დაგროვების ტემპის აჩქარება. ზემოჩამოთვლილი წყაროები ჩვენ საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ისეთი რეზერვები, ურომლისოდაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ძნელია. თუ არ გვექნა რეზერვები ჩვენს მრეწველობაში, საგარეო ვაჭრობაში, სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ არ გვექნა ვალიუტის რეზერვი, პურის რეზერვი, რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევსძლებთ იმ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებათა დაძლევას, რომელნიც მოსალოდნელია წამოიჭრეს ახალი მოსავლის გასაღების დროს. ამიტომ ჩვენ აუცილებლად ზომები უნდა მივიღოთ დაგროვების შემდეგი გზების გამოსაყენებლად:

ჯერ ერთი—ჩვენ უნდა ვეცადოთ საკრედიტო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, რათა ამ გზით ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებში მოვზიდოთ და შევინარჩუნოთ მოსახლეობაში დაგროვილი თანხები, რასაკვირველია, განსაზღვრულ პროცენტის მიღებით. მეორე,—რაც არ უნდა დაგვიჯდეს ერთმანეთს უნდა შეუფარდოთ საბითუმო და საცალო ფასები, რისთვისაც საჭიროა საცალო ფასების დაკლება მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის პროდუქციაზე და მით დაგროვებულ თანხების მოზიდვა კერძო პირთა ჯიბეებიდან. მესამე,—საჭიროა, რომ ჩვენი მრეწველობა, ჩვენი წარმოებები, ფაბრიკები და ქარხნები ერთგვარ მარაგს ინახავდენ წარმოებათა ამორტიზაციისა და გაფართოებისათვის. მეოთხე,—ჩვენი ჩერვონეცის განსამტკიცებლად და ჩვენი საგარეო ვაჭრობის განსავითარებლად ჩვენ უნდა შევქმნათ ვალიუტის რეზერვი. ამ რეზერვის შემწეობით შესაძლებელი იქნება ჩერვონეცის [illegible] პერიოდში.

დაბოლოს, ჩვენ გვესაჭიროება ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გადასახადის ტვირთს ზურგზე აჰკიდებს შეძლებულ ფენებს და ამავე დროს საშუალებას მოგვცემს ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში შევქმნათ მრავალმილიონიანი რეზერვი რაიმე მოულოდნელ შემთხვევისათვის, იქნება ეს სახალხო თუ სხვა რომელიმე უბედურება.

ყოველივე ეს ერთად აღებული საშუალებას გვაძლევს ისე ფართოდ დავაყენოთ სიმდიდრის დაგროვების საქმე, რომ კითხვაზე—შეგვიძლია თუ არა საკუთარი საშუალებებით ინდუსტრიის შექმნა,—დადებით პასუხს ვღებულობთ.

გადავიდეთ მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის საკითხზე.

ბრძოლა ეკონომიის რეჟიმისათვის

მე დაწვრილებით აღარ შევეხები აპრილის პლენუმის რეზოლიუციის ამ უმნიშვნელო ნაწილს — საკითხს ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლის შესახებ. ამ საკითხზე ჩვენს პრესაში და განსაკუთრებით, ცეკას მდივნის ამხ. სტალინის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის მიერ ხელმოწერილ ინსტრუქციაში მოცემული იყო ამომწურავი დასაბუთება ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლის აუცილებლობისა სოციალისტური აღმშენებლობისათვის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარი იძლევა ფართე პრაქტიკულ პროგრამის ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლის კამპანიის ჩასატარებლად და ახდენს საზოგადოებრივი აზრის, მუშათა და გლეხთა მასების აქტივობის მობილიზაციას ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული დაწესებულებების მიერ სახალხო ქონების არასაწარმოო და გაუმართლებელ გზით ხარჯვის გამოსააშკარავებლად.

გაცნობებთ, რომ ამ საკითხის შესახებ განზრახულია: პირველი, ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკების საკონტროლო კომისიების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკულ გეგმას ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარის ცხოვრებაში გასატარებლად; მეორე, საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის მორიგ პლენუმზე დასმულია საკითხი არასაწარმოო ხარჯების წინააღმდეგ საბრძოლველ პრაქტიკულ ღონისძიებების შესახებ.

რატომ აქცევს ასე დიდ ყურადღებას პარტია ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლის საკითხს? საკმარისია, წარმოვიდგინოთ ჩვენი კავშირის უსაზღვრო სივრცე, საკმარისია წარმოვიდგინოთ რა დიდი რაოდენობა კომერციულ, სამეურნეო და ეკონომიური ერთეულებისა არის გაფანტული ჩვენი კავშირის ყველა ქალაქებში და სოფლებში, საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ თუ თვითეულ ამ დაწესებულებაში არა საწარმოო გზით იხარჯება თუნდაც ერთი მანეთი, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ეკონომიის რეჟიმის საშუალებით სახელმწიფო დააგროვებს ათეულ და ასეულ მილიონ მანეთს.

ამ მილიონებით ჩვენი მრეწველობის უზრუნველყოფა—ეს იქნება ჩვენი მრეწველობის საქონლის პროდუქციის აწევა ამ ასეულ მილიონებით, ეს იქნება დისპროპორციის მოსპობა ამ თანხების საშუალებით.

ინდუსტრიის შექმნის ობიექტიური პირობები

მაგრამ ჩვენი ინდუსტრიის შექმნისათვის არ არის საკმაო მარტო ზემოდ ჩამოთვლილი მატერიალური პირობები. ინდუსტრიის შესაქმნელად საჭიროა აგრეთვე სოციალისტური აღმშენებლობის სუბიექტიური პირობების უზრუნველყოფა. შეუძლებელია ინდუსტრიის საქმის განვითარება ინდუსტრიის მშენებელთა კეთილსინდისიერი, მცოდნე და ენერგიული კადრის გარეშე. ყოველგვარ დაბრკოლებების დროს, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი მასები ყოველთვის აყენებდენ თავის წიაღიდან ისეთი ხალხის კადრს, რომელთაც შეეძლოთ მიმდინარე მომენტის ამოცანების დაძლევა. სამოქალაქო ომი, ბრძოლა მეურნეობის აღდგენისათვის—ამ ფრონტებზე ჩვენ გვყავდა ენერგიულნი მებრძოლნი სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ეხლა, როცა ინდუსტრიალური ფრონტი წარმოადგენს სოციალისტური აღმშენებლობის უპირველეს ამოცანას, ამავე მასებმა უნდა გამონახონ და წამოაყენონ ინდუსტრიალისტების ახალი არმია. მუშათა კლასის აქტივობა არის საუკეთესო გარანტია იმის, რომ ამ შემთხვევაშიაც, ისე როგორც წარსულში, ჩვენ დავსძლევთ ჩვენს წინაშე მდგარ დაბრკოლებებს და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები.

ინდუსტრიის მშენებელთა კადრის შექმნის ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა, რათა ჩვენმა პარტიამ რაც შეიძლება ფართოდ ჩააბას სოციალისტურ აღმშენებლობაში მუშათა და გლეხთა ფართო მასები. ამიტომ საწარმოო თათბირებს, რომელთაც დაიმსახურეს მუშების ფართო ყურადღება, ამ ჟამად განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ეძლევათ. საჭიროა საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლება და გაცხოველება, მასში შემოქმედების ახალი ნაკადის შეტანა. უნდა გაფართოვებულ იქნეს მათი მუშაობის შინაარსი, [illegible] თი საკითხების დასმით, რომლებიც ეხებიან ამა თუ იმ წარმოებას, მისი მუშაობის გაფართოებას, შრომის ნაყოფიერების აწევას და სხვ.

ამ გზით ჩვენ თვით მუშებსა და აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციას შორის, რომელიც კეთილსინდისიერად მუშაობს ჩვენთან, შევქმნით ინდუსტრიის მშენებელთა კადრს: ქარხანა-ფაბრიკების დირექტორებს, მცოდნე და პატიოსან მოვაჭრეებს ტრესტების და სინდიკატების საქმიან მუშაკებს და მრეწველობის მშენებლობის გეგმების შემდგენელთ.

აი, როგორი არმია არის საჭირო ამ ჟამად ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განსახორციელებლად, და საიდან უნდა შევკრიბოთ ჩვენ ისინი. აი ის სუბიექტიური პირობები, რომლის გარეშე ინდუსტრიალიზაცია წინ ბიჯსაც ვერ გადასდგამს წინ.

ინდუსტრიის შექმნის სოციალური პირობები

მაგრამ, ინდუსტრიის და სოციალისტური აღმშენებლობის განვითარებისათვის არ არის საკმაო მარტო მატერიალური და სუბიექტიური პირობები. ეს პირობები განსაზღვრავენ შინაგან მომენტებს, რომლებისგანაც დამოკიდებულია ინდუსტრიის განვითარება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იმ სოციალურ პირობების გარეშე, რომელნიც არსებობენ ჩვენში და რომლებზედაც მიგვითითა ამხ. ლენინმა — ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის სოციალური ბაზის უქონლობა — სრულებით შეუძლებლათ ხდის რაიმე ინდუსტრიალიზაციას და ასეთ ინდუსტრიალიზაციას აუცილებელი დაღუპვა მოელის.

რაში მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სოციალური ბაზისი? რაში მდგომარეობს სოციალური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ინდუსტრიის ნორმალურ განვითარებას? ასეთი პირობა ორია.

პირველი — განმტკიცება - გამაგრება მუშების და გლეხების კავშირის, რომელშიაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს.

პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის გარანტიათ ლენინს მიაჩნდა მუშების და გლეხების მტკიცე და შეურყეველი კავშირი. ყველაფერი, რაც არყევს ამ კავშირს, ყველაფერი, რაც ძირს უთხრის მას,—ყველაფერი ეს განადგურებით ემუქრება პროლეტარიატის დიქტატურას. ამიტომ პარტიის ამოცანაა ამ კავშირის გამაგრება, გაძლიერება. მისი მიზანია ბრძოლა ამ კავშირის გამაგრება, გაძლიერება. მისი მიზანია ბრძოლა ამ კავშირის შესუსტების წინააღმდეგ, მუშებსა და გლეხებს შორის განხეთქილების ჩამოგდების წინააღმდეგ.

ამ კავშირში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს და ამ ხელმძღვანელობის ყოველგვარი შესუსტება დამარცხებას უმზადებს პროლეტარიატის დიქტატურას. ამხ. სტალინს მოჰყავს მშვენიერი მაგალითები, თუ როგორ იღუპებოდა რევოლიუცია, როცა მას ხელმძღვანელობდა მარტო გლეხობა (საფრანგეთის რევოლიუცია, „პუგაჩოვშჩინა", სტენკა რაზინი და სხვ.).

მეორე სოციალური პირობა, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის ნორმალურ განვითარებისათვის, ეს არის მუშათა კლასის, სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობა პარტიის მიერ. პარტიის ეს სწორი ხელმძღვანელობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა თვით პარტია ერთსულოვანია, როცა პარტიის რიგები მჭიდროა, როცა თვით პარტია აგებულია შინაპარტიულ დემოკრატიის პრინციპზე. ამიტომ შინაპარტიული დემოკრატიის შეგნებულად და პატიოსნად გატარება წარმოადგენს პარტიის მთლიანობის და მისი რიგების აქტივობის უმნიშვნელოვანეს პირობას.

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ შინაპარტიული დემოკრატია ეს არის ფრაქციული ჯგუფების თავისუფლება. ეს არის ანტიპარტიული, პარტიისათვის უაღრესად საზიანო შეხედულება. არც ერთ პარტიას, განსაკუთრებით პარტიას, რომელიც სახელმწიფოს სათავეში სდგას, არ შეუძლია თავისი ისტორიული ამოცანების შესრულება, თუ ის დაყოფილი იქნა ჯგუფებათ. ფრაქციების თავისუფლების იდეა და შინაპარტიული დემოკრატია სრულებით ეწინააღმდეგება ერთი - მეორეს.

შინაპარტული დემოკრატია ნიშნავს პარტიულ რიგების მთლიანობის განმტკიცებას. შინაპარტიული დემოკრატია ნიშნავს პარტიის ყველა ძალების შეგნებულ და განუყოფელ ერთიანობას. ფრაქციულ ჯგუფების თავისუფლება ნიშნავს დიამეტრალურად წინააღმდეგს: პარტიის ძალების დაქსაქსვას, ხრონიკულ ბრძოლას პარტიის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის და, მაშასადამე, პარტიის გავლენის და ძლიერების შესუსტებას; ფრაქციების თავისუფლებას ანარქია შეაქვს პარტიაში. ხოლო ანარქია და დემოკრატია ერთი მეორის გამბათილებელი ცნებებია.

აი რატომ არის, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც გამარჯვებით გაიარა რევოლიუციის ქარცეცხლში მისი რიგების რკინის დისციპლინის მეოხებით, კატეგორიულად უარყოფს ფრაქციულ ჯგუფების იდეას და მტკიცედ სდგას შინაპარტიულ დემოკრატიის საფუძველზე. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მეორე სოციალური პირობაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან პარტიის ძლიერების და მის მიერ სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შესუსტება მიგვიყვანდა საბჭოთა კავშირის დაღუპვამდე.

ჩვენი უახლოესი ამოცანები ამიერ-კავკასიაში

ამგვარად ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის რეზოლიუციაში, რომელიც ეყრდნობა მეთოთხმეტე პარტყრილობის რეზოლიუციას, ჩამოყალიბებულია ჩვენი კავშირის შემდეგი საერთო ამოცანები: 1) უნდა განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, როგორც სოციალიზმის საფუძველი და მთელი სახალხო მეურნეობის მამოძრავებელი; 2) ყოველმხრივ უნდა დავაჩქაროთ სოციალისტური დაგროვების და მრეწველობის რეზერვების შექმნის ტემპი; 3) ეკონომიურად, რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ დაგროვებული საშუალებანი და გავატაროთ ეკონომიის სასტიკი რეჟიმი; 4) უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა არმია; 5) ფართედ უნდა ჩავაბათ მუშათა მასები სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში და ავსწიოთ მუშათა კლასის აქტიურობა; 6) სოციალისტურ აღმშენებლობაში უნდა ჩავაბათ გლეხთა მასები მუშათა კლასის ხელმძღვანელობით: 7) უნდა ავსწიოთ პარტიული მასების აქტივობა და გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია; 8) უნდა გავამაგროთ და დავიცვათ ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობა და ერთსულოვნობა.

აპრილის პლენუმის ამ საერთო ამოცანებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი კონკრეტიულ ამოცანებისა ჩვენთვის ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საკმაოდ პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს ნავთს და ჭიათურის მარგანეცს, დანარჩენი ქარხნები და წარმოებები ან უმოქმედოთ იდგენ, ან კიდევ იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი აღდგენა საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა გამოცოცხლდა და მან დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ჩვენი კავშირის ინდუსტრიალიზაციის გზაზე გადასვლის შემდეგ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა გიგანტიური ნაბიჯით გასწევს წინ.

ჩვენ უკვე აღვადგინეთ მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნებისა. თუ ჩვენ ჩავიხედავთ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმაში, რომელიც შეიმუშავა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის გეგმაში, დავინახავთ, რომ ჩვენი ქვეყანა 5 წლის შემდეგ უნდა გადაიქცეს მთელი ჩვენი ინდუსტრიალური კავშირის მნიშვნელოვან ნაწილათ.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია, იმ მეურნეობის, რომელიც [illegible] პურ კავს. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დროს ექვს გარეშეა, განვითარდება და ამიერ-კავკასიის მრეწველობას თანდათან, გაუსწორდება სასოფლო მეურნეობა. ამიტომ 5 წლის საპერსპექტივო გეგმაში ნაგულისხმევია აგრეთვე სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია. ამ გეგმით ჩვენი სასოფლო-მეურნეობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მექანიკური მოწყობილობით, რომელიც სრულებით შესცვლის ჩვენი სასოფლომეურნეობის ბუნებას და მექანიკურ წარმოების ნიადაგზე დააყენებს მას.

ამგვარათ, ჩვენი პარტიის და ჩვენი ორგანიზაციის ამოცანა ამიერ-კავკასიაში არის შემდეგი:

1) ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ იმ საერთო ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დასახა აპრილის პლენუმმა.

2) ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ ღონისძიებებს ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის და სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის დარგში.

3) ყოველივე ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ნავთის ამოღების და მებამბეობის განვითარება ავსწიოთ იმ დონემდე, რომელიც საჭიროა ჩვენი კავშირისათვის. ეს იქნება ამიერ-კავკასიის მიერ სერიოზული წვლილის შეტანა სოციალისტურ დაგროვების საქმეში.

4) ჩვენ ორგანიზაციების წინაშე სდგას ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლის იგივე ამოცანა. ჩვენი სინამდვილის პირობებში ეს ბრძოლა განსაკუთრებით სასტიკი და დაუზოგავი უნდა იქნეს. ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ თავაშვებულობას, ფულების უაზროთ ხარჯვას და სახალხო ქონების განიავებას, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ჩვენს სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას.

5) ჩვენი ორგანიზაციების წინაშე სდგას აგრეთვე ამოცანა შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები მთელი პარტიის რიგებთან ბრძოლაში ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე და შევინარჩუნოთ ჩვენი ორგანიზაციის რიგების მტკიცე და ჯანსაღი მთლიანობა. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ორგანიზაციის სიმაგრე და სიძლიერე დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანიზაციების რიგების სიმტკიცის, შეურყევლობის და მთლიანობისაგან.

ჩვენ ორგანიზაციებს უკვე აქვთ გამოცდილება და სიმტკიცე, რომელიც მათ შეიძინეს განვლილ გაჭირვების დროს. საჭიროა რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ორგანიზაციების ეს სიმტკიცე სოციალისტურ [illegible] მშენებლობისა და ინდუს [illegible]

ქართული ცხენოსანი ლეგიონის 5 წლის თავი

დღეს ქართული ცხენოსანი ლეგიონი დღესასწაულობს თავისი არსებობის ხუთი წლის თავს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აბარებს მას წითელ ბრძოლის დროშას, იმ ღვაწლის აღსანიშნავად, რომელიც მიუძღვის ცხენოსან ლეგიონს საქართველოს მშრომელთა წინაშე.

დღიდან დაარსებისა (1921 წელი აპრილის 30) ცხენოსანი ლეგიონი დღევანდლამდის ყოველთვის მტკიცედ იდგა მშრომელთა სადარაჯოზე და იცავდა მუშების და გლეხების მშვიდობიან შრომას.

როდესაც კი მოუწოდებდა მას ხელისუფლება, ლეგიონი თავდადებულათ გამოდიოდა მტრების საწინააღმდეგოთ.



ქართული ცხენოსანი ლეგიონის უფროსი გ. მაჟაშვილი (მარჯვნით) და სამხედრო კომისარი ამხ. ქაჯაია (მარცხნივ).

ქართულმა ცხენოსანმა ლეგიონმა მრავალი სახელოვანი სტრიქონები ჩასწერა საქართველოს და მთელ საკავშირო წითელი ჯარის ისტორიაში.

მისი მეოხებით გაწმენდილ იქნა ხევსურეთი ჩოლოყაშვილის ბანდების თარეშისაგან—რომლებიც არბევდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

მენშევიკურ ავანტიურის დროს ლეგიონი თავდადებულათ იბრძოდა კახეთში ავანტიურისტების წინააღმდეგ და შესძლო მოელო ბოლო ბანდიტების თარეშისათვის შიგა და გარე კახეთში.

ამ ბრძოლების დროს ლეგიონი არ ივიწყებდა იმას, რომ იგი არის სკოლა, სადაც იწვრთნებიან სოფლიდან და ქარხნიდან მოსულნი მუშები და გლეხები.

ხუთი წლის განმავლობაში ლეგიონმა მოამზადა რამოდენიმე ასეული ახალგაზრდა მუშა და გლეხი, რომლებიც დღეს მრავლად არიან გაფანტულნი საქართველოს ტერიტორიაზე და ეწევიან მუშაობას კულტურულ ფრონტზე. ბევრ ახალგაზრდა მშრომელს შეასწავლა ლეგიონმა წერა-კითხვა.

პარტიულ და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა ყოველთვის მაღლა იდგა ლეგიონში.

ლეგიონში მომუშავე ამხანაგები, როგორც მეთაურნი, ისე პოლიტშემადგენლობა, არ ზოგავენ ძალ-ღონეს, რომ განემტკიცებიათ ბრძოლის უნარიანობა და აემაღლებიათ წითელ არმიელის პოლიტიკური შეგნება. დღეს ლეგიონი წარმოადგენს მთლიან შემჭიდროებულ მებრძოლ ერთეულს.

თავისი არსებობის ხუთი წლის თავზე ლეგიონი ერთხელ კიდევ ეტყვის ყველა მტრებს მუშურ-გლეხურ საქართველოისას, რომ როგორც აქნობამდის მტკიცედ იდგა იგი იარაღით ხელში მშრომელთა სადარაჯოზე, ასევე შემდეგშიაც იქნება მუშათა სახელმწიფოს თავდადებული დამცველი.

ე. გ.

ალლუმი

აპრილის 30-ს ლეგიონის ბინაზე გაიმართება ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ლეგიონის მთელი შემადგენლობა.

ალლუმის შემდეგ ლეგიონში მოაწყობს შეჯიბრებას ცხენოსნობაში.

წითელი დროშა ცხენ. ლეგიონს.

თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ქართ. ცხენოსან ლეგიონს მის არსებობის ხუთი წლის თავზე გადაეცემა კომისართა საბჭოს მიერ წითელი საბრძოლო დროშა.

მისალმებანი ქართულ ცხენოსან ლეგიონს

მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტ-განყოფილება მხურვალედ ესალმება ქართულ ცხენოსან ლეგიონს მისი არსებობის ხუთი წლის თავზე.

ქართული ცხენოსანი ლეგიონი ამ ხნის განმავლობაში მტკიცედ იდგა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე და თავდადებით იცავდა მშრომელთა მონაპოვარს.

პოლიტ-განყოფილება, ესალმება რა ლეგიონის მთელ შემადგენლობას, მოუწოდებს მას გააძლიეროს სამხედრო და პოლიტიკური სწავლება, რაც წითელი ჯარის სიძლიერის თავდებია.

მე-2 ქართულ მსრ. დივიზიის პოლიტ-განყოფილება

მხედრული სალამი ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობას ლეგიონის არსებობის მე-5 წლის თავზე.

განვლილი ხუთი წელი მოწმეა ენერგიული მუშაობისა ლეგიონის ბრძოლის უნარის განსამტკიცებლად.

მომავალში საჭიროა ამ მუშაობის გაათკეცება ლეგიონის [illegible] ყოველ მხრივ.

მე-2 ქართ. დივიზიის უფროსი და სამხედრო კომისარი **ალნიაშვილი.**

შტაბის უფროსი **გედევანიშვილი.**

პირველი მაისისათვის

ზეიმის ჩატარების წესრიგი.

იმ გეგმის შესაცვლელად, რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთ „კომუნისტში“, № 95, 28 აპრილის თარიღით, ალლუმის ადგილის შეცვლის გამო, კავშირების სისწორით ხელმძღვანელობისათვის ცხადდება შემდეგი წესი: ალლუმი ჩამწკრივებული იქნება—დაწყებული რუსთაველის გამზირიდან მუშათა სასახლის პირდაპირ. ალლუმის მარშრუტი—ელბაქიძის დაღმართი, ცირკის ქუჩა, პლეხანოვის გამზირი და სადგურის ქუჩა. ქუჩების მარცხენა მხარეზე ჩამწკრივებული იქნებიან ორგანიზაციები შემდეგი თანამიმდევრობით: მუშათა სასახლესთან მარჯვენა ფლანგის პირდაპირ ჩამწკრივდებიან:

ორგანიზაციები: შეკრების ადგილი:

ფიზკულტურა—ყოფილი სამხედრო ტაძარი.
სტუდენტობა—ყოფილი ბარიათინსკის ქუჩა.
განათლების მუშაკნი—კალოუბნის ქუჩა.
სახალხო კვების მუშაკნი—პუშკინის ბიბლიოთეკა.
წყლის მეურნეობის მუშაკთა და სამთამადნო მუშები—თეატრალური ქუჩა.
მიწა-ტყის მუშაკნი—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან.
მედსანშრომის მუშაკნი—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან.
მბეჭდავები—პოლიგრაფტრესტთან.
სახალხო კავშირის მუშაკნი—ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან.
საბჭოთა მუშაკნი—ლენინის ქ., ზემელისაფთიაქის იქით.
ქიმიური დარგის მუშაკნი—ყორღანოვის ქუჩა.
ფეიქრები—ყორღანოვის ქუჩა და ვერის დაღმართი.
[illegible] მუშაკნი—ვერის მოედანი.
საამშენებლო დარგის მუშაკნი—ცირკის მოედანი.
ხის შემკეთებელნი—გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკასთან.
მელითონეები—მეორე რაიკომთან.
მეტყავეები—ლენინგრადის ქ. და პლეხანოვის გამზირის კუთხე.
მკერავები—„გრუზშვეიპრომთან“.
ტრანსპორტის მუშაკნი—ქსენიევის ქუჩა.
გემო-კვების მუშაკნი—ტატიანას ქუჩა.
კომუნალური დარგის მუშაკნი—კინო აპოლო.
რკინისგზელები—სადგურის ქ. და პლეხანოვის გამზირის კუთხე.

სამხედრო ნაწილებს მიჰყვებიან რკინისგზელები, რომლებიც მიდიან ალლუმის მარცხენა ფლანგით; რკინისგზელებს თანამიმდევრობით მიჰყვებიან ყველა დანარჩენი ორგანიზაციები, როგორც, მაგალითად: კომუნალური დარგის მუშები, გემო-კვების მუშაკნი, ტრანსპორტის მუშაკნი, მკერავები, მეტყავეები, მელითონეები, ხისშემკეთებლები და სხვები. მუშათა სასახლესთან რკინისგზელების მისვლის შემდეგ მათ უერთდება ფიზკულტურა, რომელიც მიდის კოლონების სათავეში. მსვლელობის ბოლოში არის სტუდენტობა.

საორგანიზაციო კომისია.

ბრძოლა მომჭირნეობასთან

(სამეურნეო მუშაკების თათბირი)

გუშინ, საღამოს ექვს საათზე, შესდგა ცალკე სამეურნეო, კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ ორგანოთა კომუნისტ ხელმძღვანელების თათბირი მომჭირნეობის რეჟიმის საკითხის შესახებ. თათბირი მოწვეული იყო საქ. კომპ. ცენ. საკ. კომ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ აღნიშნულ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახავათ, რომელნიც უნდა გატარებულ იქნან ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრად გატარებისათვის.

მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ც. ს. კ. თავმ-რე ამხ. დოლიძემ, რომელიც შეეხო საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ მოცემულ დირექტივებს ეკონომიის რეჟიმის საკითხში და იმ დაბრკოლებებს, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენში ამ ლოზუნგის განხორციელებას.

საკითხმა გაცხოველებული კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ორატორმა, მათ რიცხვში ამხანაგებმა: ავალიანმა, კაჭარავამ, ივანოვმა, კანდელაკმა, ნ. კიკნაძემ, ნ. ოკუჯავამ, ნ. ლეჟავამ, მაჩიკაშვილმა, ყამარაულმა, იტრიევმა და სხვებმა. ორატორები თავიანთ სიტყვებში უმთავრესად ჩერდებოდენ ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაობის შემდეგ მტკივნეულ მხარეებზე:

ბევრგან ჯერ კიდევ ვერ შევქმენით მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინა. არის შემთხვევები, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში, როცა დაწესებულება-წარმოების მუშაობა სცილდება წინასწარ ნავარაუდევ საბიუჯეტო ჩარჩოებს და ამრიგათ არევ-დარევა შეაქვს ჩვენს საერთო ფინანსიურ სისტემაში.

არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ანგარიშვალდებულებიანობას ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმწიფო ორგანოების მიერ. არაა სწორ ნიადაგზე დაყენებული დაწესებულება-წარმოების როგორც სამეურნეო, ისე ფინანსიური ანგარიშიანობა.

ამასთანავე ერთად, ორატორების აზრით საჭიროა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებაც. თუ დღემდი უმთავრესად ადგილი აქვს ფორმალურ რევიზია-შემოწმებას (გასამართლებელი საბუთების გადასინჯვა), მომავალში ფორმალური რევიზია უნდა შეიცვალოს არსებითი რევიზიით, რომელმაც თავისი დასკვნა უნდა მოგვცეს სამეურნეო ორგანოს მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯის მიზანშეწონილობაზე.

გამოითქვა აგრეთვე აზრი ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის დაუნდობელ ბრძოლის წარმოების შესახებ. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეს [illegible] მივლინებებს, სამგზავრო და ბინის ხარჯებს, ამ მივლინებათა დროს ავანსებს, ავტომობილებით სარგებლობას და სხვას. ორატორებს მოჰყავდათ მიქცეული უმიზნო მივლინებები, სამგზავრო [illegible] ამხანაგები არღვევენ არსებულ დებულებას დღიურების შესახებ და ნაცვლათ ჯამაგირის $1/25$, იღებენ $1/18$, $1/12$ და ზოგჯერ ერთ მეათედსაც.

გარდა ამისა ამხანაგები აღნიშნავდენ ჩვენ შინაურ ბაზრის მოუწესრიგებლობას, რაც იწვევს საჭირო საქონლის შესაძენათ ზედმეტ მივლინებებს, მისვლა-მოსვლას და უსარგებლოთ დროის კარგვას.

ამასთანავე ორატორები სჩიოდენ იმ არანორმალურ კონკურენციაზე, რომელიც არსებობს ცალკე ორგანოებს შორის, ბევრი მათგანი ცდილობს თავისკენ გადაიბიროს კვალიფიციური მუშა-ხელი და სპეციალისტები, რისთვისაც არ ზოგავენ თანხებს. ეს არაბუნებრივად ზრდის ასეთ მუშა-ხელის შრომის ქირას და ამავე დროს აფერხებს წარმოება-დაწესებულების ნორმალურ მუშაობას.

ბევრი ითქვა თათბირზე მუშაკთა კვალიფიკაციის აწევაზე. დღეს ამ მხრივ დიდი ნაკლებობაა. ზოგიერთი დაწესებულებები ზოგჯერ ხელს ჰკიდებენ არა თავიანთ საქმეს, რაც ხშირათ ამ დაწესებულებათა საზარალოდ თავდება.

კრებამ აგრეთვე გამოსთქვა სურვილი საწარმოო თათბირების გამოცოცხლებაზე, პრესისა და ფართე მშრომელი მასის ჩაბმის შესახებ მომჭირნეობის ლოზუნგის გატარებაში.

დასასრულ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა თათბირზე გამოთქმულ მოსაზრებათა განხილვა და საერთო დებულებათა გამომუშავება.

კომისიაში შევიდნენ ამხანაგები: **ა. დოლიძე, ლ. ღოღობერიძე, ნ. ოკუჯავა, ა. ჟოჟიკაშვილი, კ. კაკაბაძე, გ. მგალობლიშვილი, ივანოვ-კავკასკი, ფრიდონოვი, მჭარეულაშვილი, ნ. კიკნაძე, ნ. ხვანიძე, ან. კაკაბაძე და ერთი წარმომადგენელი პროფკავშირთა საბჭოსგან.**

რ—ლი.

ეკონომიური ცხოვრება

როგორ შესრულდა ა.-კავკასიაში საქონლის შემოტანის გეგმა

სამრეწველო საქონლის საერთო ნაკლებობამ თავისი გავლენა მოახდინა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ა.-კავკასიაში სამრეწველო საქონლის შემოტანის გეგმის განხორციელებაზე.

გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა:

ლითონები და ლითონის ნაწარმოები სულ შემოტანილ იქნა 450.000 ფ. რაოდენობით, ე. ი. 50,9 პროცენტით. ყველაზე ნაკლებათ გეგმა შესრულებულია სომხეთში, სადაც იგი შესრულებულ იქნა 9, 2 პროც., საქართველოში—29 პროც. და ყველაზე უკეთ—97 პროც. აზერბეიჯანში.

უკეთესი მდგომარეობაა ფართლეულის შემოზიდვის მხრივ. შემოზიდვის გეგმა შესრულებულ იქნა 162.6 პროც.

საქართველოს მიმართ გეგმა შესრულებულ იქნა 10[illegible] სომხეთში—109 პროც. და აზერ[illegible] ტით. საქართველოში [illegible] ში შემოიტანიათ 242 [illegible] აზერბეიჯანში—220½ ვაგ. 92 ვაგონი.

შაქრის შემოზიდვის გეგმა შესრულებ[illegible] ლია 79,6 პროცენტის გადაჭარბებით. მთელ ამიერ-კავკასიაში შაქარი შემოტანილი იქნა 1677 ½ ვაგონი შაქარი, რომლიდანაც საქართველოს ერგო—552 ვაგ., აზერბეიჯანს—953 ½ ვაგ. და სომხეთს—172 ვაგონი.

ასეთივე მდგომარეობაა კალოშების მხრივაც, ამიერ-კავკასიაში სულ შემოუზიდავთ 715.700 წყვილი კალოში, აქედან საქართველოში—196.000 წყვ. აზერბეიჯანში 502000 წყვ. და სომხეთში 19.700 წყვილი.

სავსებით შესრულებულია მარილის შემოტანის გეგმაც. მარილი სულ შემოტანილ იქნა 1.845.500 ფ. რაოდენობით (102,5 პროც.

ქაღალდის შემოტანის გეგმა შესრულებულია 76,1 პროცენტით. კერძოთ საქართველოში შემოტანის გეგმა შესრულებულია—77,4 პროც., აზერბეიჯანში—84,5 პროც. და სომხეთში 36,7 პროცენტით.

ასეთივე მდგომარეობაა სილიკატების [illegible] რომელთა შემოზიდვის პროცენ[illegible] კავკასიაში შესრულებულია მხო[illegible] [illegible] რაოდენობით არის [illegible]

მუშკოოპის ფასები

მუშკოოპის სავაჭროებში საქონელზე ასეთი ფასებია: კვერცხი ათეული—48 კ. კარაქი—1 მან. 10 კაპ. ერბო—95 კაპ. შვეიცარული ყველი—1 მან. თუშური ყველი—60 კაპ. დამარხული ღორის კანჭი—65 კაპ. პასკის ფქვილი—რბილი 20 გირ.—2 მან. 40 კაპ. „კრუპჩატკა“—2 მან. 90 კაპ. გამომცხვარი პასკა—80 კაპ. გირვ; შაქარი—33 კაპ. ბრინჯი—30 კაპ. და 26 კაპ. კარტოფილი—4 კაპ. გირ; კომბოსტო—12 კაპ. გირ; სალათა—4 კაპ. კონა, ბოლოკი 7 კაპ. კონა, ახალი ხახვი—6 კაპ. კონა. კიტრი—35— კ. ცალი.

კოოპერაცია

ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირი

გასულ წელს საიმპორტო ოპერაციების შემცირების გამო ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის საიმპორტო ვაჭრობის გეგმა ძალზე შეკვეცილ იქნა. ამ გარემოებამ ა.-კ. კოოპერაცია ზარალში ჩააგდო! გასულ თვეში დამთავრებულ ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირის დადგენილების თანახმად, მიმდინარე საოპერაციო წელში ვაჭრობის გეგმა გაფართოებული უნდა იქნეს, რისთვისაც ა.-კ. კოოპერატიული კავშირი გააძლიერებს საბჭოთა კავშირიდან საქონლის შემოტანას და აფართოებს აგრეთვე სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გასასაღებელ ბაზარს.

გასულ წელს აბრეშუმის პარკის და თხილის გასაღების მოწყობამ კარგი ნაყოფი გამოიღო და გამოიწვია კოოპერატიულ ორგანიზაციების მხრივ დიდი ინტერესი და ყურადღება.

ამიტომ მიმდინარე საოპერაციო წელს ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს სრულიად შესაძლებლად მიაჩნია მაქსიმალურად გამოიყენოს სასოფლო სამეურნეო დამზადების კამპანია, რომლის წარმატებით ჩატარება გაანათილებს იმ ზარალს, რომელიც ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა საიმპორტო ოპერაციების გეგმის შეკვეცით გამოიწვია.

გასაღების ადგილის საკითხი ამავე დროს მაქსიმალური სარგებლობის კითხვაც არის, ამიტომ ა.-კ. კოოპერატ. კავშირების გამგეობა ცდილობს სავსებით გამოიყენოს თავისადმი მინიჭებული უფლებები საბჭოთა კავშირში სას. სამეურნეო საქონლის ექსპორტისა.

საბჭოთა საქართველო

დღეობა აღკვეთეთ

(ს. დირბი, გორის მ.)

გასულ წელს შემოდგომაზე სოფ. დირბში განზრახული იყო გამოგვეყვანა წყალსადენი. საზოგადო კრებამ გამოჰყო კომისია, რომლის მუშაობიდანაც გამოირკვა, რომ ნებაყოფლობით, შეწირულების სახით იკრიფებოდა 3.500 მანეთამდე, მაგრამ ამ თანხის აკრეფაც ვერ მოხერხდა, ვინაიდან დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა განიცდიან გაჭირვებას პურის უქონლობის გამო.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ეს კომისია შეუდგა ხელ-ახალ მზადებას, მაგრამ უნდა ითქვას რომ, საჭირო თანხის მოგროვებას დიდი დაბრკოლებები ხვდება. ბევრი გლეხი უსახსრო არის; ყოველდღე კოოპერატიულ კარებზე იკრიბებიან, იქნებ საიდანმე თითო-ოროლა ფუთი სიმინდი შემოვიდეს და შევიძინოთო.

ამასთანავე დღეობა ახლოვდება; დიდი ხარჯების გაწევა დასჭირდება ხალხს. იგი ასე მსჯელობს: სად შევეძლიან გაძვალტყავებულებს დღეობის დაგანდაც და წყაროს გამოყვანაცო. მართლაც დღეობაზე მოსულ სტუმრებს ხელს ხომს ვერა ჰკრავ. გლეხი უკანასკნელ სახსარს გაჰყიდის და სტუმარს კი დახვდება. მაგრამ ამ მდგომარეობასაც თავი დავანებოთ.

დღეობა „ზედაძროობა“, რომელიც მოდის 24 მაისს, ხალხის დადგენილებით აკვეთილ იქნა. ყველამ გამოსთქვა სურვილი, რომ, უკეთუ დღეობაზე ხარჯების გაწევა არ დაგვჭირდება, მაშინ შეძლების დაგვარად გავიღებთ წყალ-სადენის გამოსაყვანათ საჭირო თანხასო.

ამრიგად, იმედია რომ, გლეხობა შეგნებულად შეხვდება წყალის გამოყვანის საქმეს, რომელიც აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს მისთვის და ერთხელ და სამუდამოთ გამოვა აუტანელ გაჭირვებიდან.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოფ. დირბში გლეხობის უმრავლესობა განიცდის გაჭირვებას უსახსრობის გამო. ზოგს კი მოეპოვება რამე სახსარი, ქონება, რომ გაჰყიდოს და შეიძინოს პური, მაგრამ უმრავლესობა ამასაც მოკლებულია და იძულებულია მიატოვოს თავისი სამუშაო და ეძებოს ლუკმა პური დღიური მუშაობით. გლეხკომს არა აქვს საშუალება დაეხმაროს; დახმარება კი საჭიროა სასწრაფოთ.

სერნარი.

რას აკეთებს საბჭო?

(დიღომი, თბილ. მ.)

ორი თვეა, რაც არჩეულია ახალი საბჭო. თემ-საბჭომ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო 9 სექცია: სასოფლო-სამეურნეო, კულტ-განმანათლებელი, საექიმო-სასანიტარო, საფინანსო-საგადასახადო, მიწის მომწყობი კომისია, საგზაო და ხიდების, საალმშ. და კეთილმოწყობის, სამელიორაციო და საკოოპერაციო. სექციებში არჩეულია არა საბჭოს წევრები გლეხებიც და და სოფ. დიღმის შეფ 1-ლ ქართულ ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობიდანაც. საბჭოს მუშაობა არ განისაზღვრება მარტო სექციებით. დიღმის სოფლის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, მოხსენებისა და შემოსულ განცხადების თანახმად, დანიშნულ იქნა 7 სპეციალური დროებითი კომისია.

ერთი ამ კომისიათაგანი დადგენილების მეორე დღესვე შეუთანხმდა მოქ. ნიკოლოზ ზერდელაშვილს, უკანასკნელს ქვა და თონე უნდა დაეშალა, თეატრის ეზო უნდა გაეფართოებია, რაიც სისრულეში მოყვანილი. თემ-აღმასკომს გამოეყო დიღმის სოფლის საბჭოს სამმართველოც და ყოველგვარ ადგილობრივად წამოჭრილ საკითხებზე უშუალო დამოკიდებულება აქვს კოოპერატივთან, სკოლასთან, თეატრთან, ქოხ-სამკითხველოსთან და სხვა. თემზე შემოერთებულია სოფ. ახალი-ვეძისი, რომელიც თავიდანვე დიღომს ეკუთვნოდა; შემდეგ თბილ. მე-13 სამილიციო უბანს, 1-ლ სამილიციო უბანს და ეს ერთი წელიწადია არც ერთ ადმინისტრატიულ ერთეულზე არ იყო მიწერილი.

თემ-აღმასკომმა მოახდინა აღნიშნულ სოფლის ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის აღწერა და ჩაატარა საბჭოს დამატებითი არჩევნები. ხალხი ძალიან აღფრთოვანებულია დიღომის თემის მიერ მათზე მზრუნველობის გაწევის დაკისრების.

მოდი-მნახე.

ჯორჯიშვილის ხელში ვართ

(გორი)

მიწის-ძვრისაგან დაზარალებულ გორის აღსადგენათ, სამაზრო აღმასკომი ყოველ ღონეს ხმარობს, მაგრამ მაზრის ბიუჯეტის შეკვეცის გამო ბევრი გასაკეთებელი საქმე ქალაქის კეთილ მოწყობის დარგში წელს შეუსრულებელი რჩება. სამაზრო აღმასკომი კერძო აღმშენებლებსაც დიდს შეღავათებს აძლევს მაგ. სახერხ ქარხნიდან ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით მსურველებს შეღავათიან ფასებში აძლევს ხის მასალას. ბევრი ახალი შენობები და კაპიტალური რემონტები კეთდება გორში მოქალაქეთა ინიციატივით, მაგრამ როდესაც მუშაობას თითქმის ამთავრებენ, და შენობა შიგნით რჩებათ გასაკეთებელი, სწორეთ მაშინ იწყება თავ-ბედის წყევლა. საქმე იმაშია, რომ საამშენებლო მასალა, როგორიც არის თუნუქი, შუშა, საღებავები, ლურსმანი და სხვა ძლიერ ძვირათ ფასობს. ამ საგნებით ვაჭრობას აწარმოებს ვინმე ჯორჯიშვილი, რომელსაც მოგების მადა ისე გაღვიძებია, რომ ერთი-ორათ მოგებას არა სჯერდება და მეტსაც მოითხოვს.

მყიდველი იძულებულია დამორჩილდეს მის სურვილს. კონკურენტი ამ კერძო ვაჭარს არავინა ჰყავს და მომავალში ის კიდევ მეტად გათამამდება, თუ კოოპერაციამ არ ამოსდო ლაგამი. სამაზრო აღმასკომმა, თავის სავაჭრო სექციის საშუალებით, უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

სიკო.

წერილებიდან

ცაგერი (ლეჩხუმი).

ხელოსნებს თავს გაუდით. ცაგერში ბლომათ არიან ხელოსნები, რომელთაც შეგირდები და მოჯამაგირეები ჰყავთ. არც ხელოსნებისა და არც მათ შეგირდ-მოჯამაგირეთათვის არ არსებობს განსაზღვრული სამუშაო დღე. გარდა ამისა, შეგირდები ძალიან ცუდ ჰიგიენურ პირობებში მუშაობენ.

შრომის ინსპექტორმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

თ. მ—ლი.

კულაში (ქუთაისის მაზრა).

მიწას კონტრაბანდით ყიდულობენ. სოფ. ხუნჯულაურში მოქ. დავით თადუმაძემ იყიდა მიწა ივანე თადუმაძისაგან. ამავე სოფელში მოქ. ვასილ წულაიამ იყიდა მოქ. ვ. მიქელაძის საყანე მიწა, ხოლო ფულის მაგიერ ნახევარი კონტრაბანდით გადაიხადა.

სად არის კულაშის თემის აღმასკომი? [illegible] თემში ხომ პირველი არ არის?!

გამვლელი.

აბაშა (სენაკის მაზრა).

დავეხმაროთ სკოლას. აბაშაში უნდა აშენდეს ცხრაწლედის შენობა. სათანადო მზადება უკვე წარმოებს. საზოგადოება დიდათ მონდომებულია. თემაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე, რომ მას მიეცეს ნება მოსჭრას ტყეში უფასოდ 100 საჟ. შეშა აგურის გამოსაწვავად.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა, რომელსაც თხოვს სამაღმასკომი სათანადო ნებართვას—უნდა დააკმაყოფილოს აბაშის მოსახლეობის მოთხოვნილება, რომ ამით უფრო მეტად დაუახლოვოთ ერთმანეთს სკოლა და მოსახლეობა.

ჩოუ.

კაცხის თემი (შორაპ. მაზრა).

გლეხკომი მოისუსტებს. კაცხის თემში მოკლევადიან შვებულებაში ჩასული იყო წითელარმიელი. ის ავად გახდა. გლეხკომმა მას არ აღმოუჩინა უფასო საექიმო დახმარება. ექიმმა წითელარმიელის სანახავად წასვლისათვის ცხენი და გასამრჯელო მოითხოვა. [illegible] ნეს ავადმყოფს.

შ. კ.

მუშათა ცხოვრება

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებში

26 აპრილს შესდგა გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის კანტორა-ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელზედაც გ. მალაშხიამ გააკეთა მოხსენება განათლების მუშაკთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშა-მოსამსახურეებმა და მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. კრებამ აგრეთვე დაადგინა გამოყოფილი იქნას დამხმარე სალარო ცალკე გაზ. „კომუნისტი“-ს თანამშრომელთათვის.

დასასრულ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საქართველოს ყრილობის დელეგატებად არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1. ნიკო კიკნაძე, 2. გ. მალაშხია, 3. აკ. ჰყონია, 4. მანჯავიძე, 5. ლ. სარალიძე, 6. ალ. სანაძე, 7. არუთინოვი, 8. მიხ. ნატროშვილი. კანდიდატებად: 1. გ. ავაქოვი და 2. მ. გასპაროვი.

იქაური.

მუშა-მოსამსახურეთა დასვენება-მკურნალობის შესახებ.

(დამზღვევი კასის საყურადღებოდ).

არც ერთ ქვეყანაში მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხი ისე არ არის მოგვარებული, როგორც ეს საბჭოთა ქვეყნებშია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქაც ზოგიერთ შემთხვევებში დაზღვევის საკითხის ტეხნიკური მხარე მოიკოჭლებს, რაიცა შეიძლება ახსნილ იქნას იმ მდგომარეობით, რომ დაზღვევის საკითხს ჩვენში არ აქვს დიდი ხნის ისტორია და წარსულიდან რაიმე მემკვიდრეობა.

ჩვენ ვიცით, რომ დაზღვეული მუშა-მოსამსახურეები იგზავნებიან სამკურნალოდ საზამთრო და საზაფხულო კურორტებზე.

თანახმად არსებულ საკურორტო წესდებისა, სანატორიუმებში უნდა იგზავნებოდენ არამწოლიარე ავადმყოფები (ე. ი. ისეთები, რომელთაც ამბულატორიული წამლობა არ ესაჭიროებათ, რომელთაც ტემპერატურა ნორმალური აქვთ და სხვ.); სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება. მიდიხარ სანატორიუმში (მხედველობაში მაქვს ქობულეთის სანატორიუმი) და იქ გხვდება შვიდი-რვა მძიმე მწოლიარე ავადმყოფი, რომელთათვის სანატორიული მკურნალობა უმნიშვნელოა. მხოლოდ მათი მოვლა-ექიმობა კი იწვევს განსაკუთრებულ საქსენონო პირობების შექმნის აუცილებლობას. ეს კი სანატორიუმის წესდებით არ არის გათვალისწინებული.

ცალკე სადიეტო ულუფებით კვება მწოლიარე ავადმყოფების, გაათკეცებული ენერგიით მოვლა-მზრუნველობა მათზე კი ასუსტებს საერთო პირობებს ფეხზე მოსიარულე ავადმყოფებისას და პირველთათვის, უმეტეს შემთხვევაში, ჰქმნის მდგომარეობის გაუარესებას. ეს ერთი მხრით სახელს უტეხს სანატორიუმს და, მეორე მხრით, ფეხზე მოსიარულე ავადმყოფებში იწვევს ერთგვარ ნერვიულობას და უსიამოვნებას.

ვის მიერ იგზავნება მწოლიარე ავადმყოფები კურორტებზე, ან როგორი წესით, ამას ჩვენ არ გამოუდგებით, მხოლოდ ვიტყვით შემდეგს: სანატორიუმებში უნდა გაიგზავნონ პირველ და მეორე სტადიაში მყოფი ავადმყოფები, თუ კი მათი ჯანმრთელობა გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საექიმო-საკონტროლო კომისია ავადმყოფების შემოწმების შემდეგ ავადმყოფებს შედეგებს არ ეუბნებიან და გზავნის მათ თავიანთ კავშირებში ასეთის გასაგებად. კავშირები კი ხშირად ისტუმრებენ მათ ასეთი პასუხით: „ჯერ დამზღვევ სალაროდან ცნობები არ მიგვიღია“-ო.

ეს გარემოება იწვევს ავადმყოფებში უკმაყოფილებას.

ამასთან, გასაგზავნთა სიის გამოქვეყნებაც ხდება ერთი ან ორი დღით ადრე ვამგზავრების წინ, რაც არ არის მისაღები.

გასაგზავნმა ავადმყოფმა ერთი კვირით ადრე მაინც უნდა იცოდეს მისი გაგზავნის შესახებ, რათა მგზავრობისათვის მზადებას შეუდგეს.

მუშკორი ა. ჩხეკვაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

(პროკურატურის ქალ. მილიციის საყურადღებოდ)

სოფელ ახალგორიდან ერთ წლინახევრის წინედ ქ. თბილისში სამუშაოს გამონახვის მიზნით ჩამოვიდა სრულებით უმწეო, უპატრონო, ობოლი გლეხ-ქალი ამხ. კატო ჯაბაური. ამხ. კატო დადგა ვაგონის ქ. სახლი № 8-ში მოქ. დარო ლელაშვილთან მოსამსახურედ და კიდეც ემსახურა ერთ წლინახევრის განმავლობაში. ხელფასს ლელაშვილი ჰპირდებოდა ამხ. კატოს, მაგრამ მისთვის მას ასეთი არ მიუცია და არც სახლის წიგნში ჩაუწერია. ამხ. კატო ლელაშვილმა უკვე დაითხოვა და მისთვის არ მიუცია არც ხელფასი და არც გასასვლელი დახმარება.

პროკურატურამ ჭკუა ასწავლოს, ამ თავხედ დედაკაცს.

ამხ. კატო სცხოვრობს ვაგონის ქ. სახლ № 8-ში.

მუშკორი ი. ჯ.

—ბარემდამ ეს ჩიხებიც გაალამაზეთ. ქალაქის გამშვენიერების და კეთილმოწყობისათვის იხარჯება უამრავი თანხა, რის გამო დიდი მადლობის ღირსია ჩვენი აღმასკომი, მაგრამ სიკეთეს დაუმატეთ და ეს ორი ჩიხი (ვუნიბისა) ერთმანეთს შეუერთეთ და ერთ ქუჩად აქციეთ, ეს ჩვენთვის საშველი საქმე იქნება.

ველით, აღმასკომო, ამ საკითხის მოგვარებასაც.

მუშკორი მე—შვილი.

— ეს აღმართიც უნდა მოირწყას. ყოჯორიანოვის აღმართი არ ირწყვება. აქ კი დიდი მოძრაობაა ეტლების და ტრამვაის, რის გამო აქ სდგება აუტანელი მტვერი. საჭიროა აქ გამოიყვანოთ ერთი წყალსადენი, რის საშუალებით უნდა ირწყვებოდეს ეს აღმართი.

ავლაბარი მუშათა უბანია. ამ აღმართით სარგებლობს განსაკუთრებით მუშა-ხალხი; მათ ასეთ მდგომარეობას უნდა გაეწიოს ანგარიში.

მუშკორი ვანო ჯი-ძევი.

— ალბად, შეუგნებლობის ბრალია. ქრაკერის ტრესტის მუშათა რიცხვი აღწევს შვიდასამდე. მათ აქვთ გამოწერილი მხოლოდ რამოდენიმე ცალი გაზეთი. წინად მუშებს გაზეთებს უწერდა ადგილკომი ნისიად 300—400 ცალამდე. მაგრამ მუშები გაზეთის საფასურს არ იხდიდენ და ვალი ადგილკომს დაედო. ადგილკომმა ამის შემდეგ გაზეთების გამოწერას თავი მიანება. მუშები კი მათ იშვიათად იწერენ.

განა ასეთი მოვლენა მისაღებია?!

მუშა მექუდე.

— ამ ექიმის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვებმაც. ნავთლუღში [illegible] სამკურნალოს ექიმად ითვლება ამხ. დემეროვი, რომელიც ამავე დროს, ამბულატორიის გამგეთაც ითვლება. ეს ექიმი მუშაობს ძალზე ენერგიულად და თავის დავალებებს ასრულებს პირნათლად. ავადმყოფებს ეპყრობა მშობლიურად და თავაზიანად და აძლევს მათ დაუზარებლად საჭირო რჩევა-დარიგებას.

მადლობის ღირსია ასეთი კეთილსინდისიერი ექიმი!

მუშკორი ა. ბ—ლი.

პასუხად მუშკორ „დარი“-ს.

(იხ. „კომუნისტი“, № 94).

მუშკორი „დარი“ სწერს: „სახელგამის მაღაზია, რომელიც მოთავსებულია სადგურის ქუჩაზე, დილით ძალიან გვიან იღება, რის გამოც მყიდველი მოსწავლე ბავშვები სკოლაში იგვიანებენ“-ო. ეს ბრალდება არ ეკუთვნის ხსენებულ მაღაზიას, ვინაიდან ის იღება არა გვიან, არამედ თავის დროზე—ცხრა საათზე, როგორც ეს მიღებულია, საზოგადოთ. სწავლა კი, „დარი“-მაც უნდა იცოდეს, იწყება 8½ საათზე, რის გამოც მოსწავლეებს არავითარ შემთხვევაში არა აქვთ საშუალება დილით უცადოს მაღაზიის გაღებას, და თუ კი ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი (თუმცა მე იშვიათად შემიმჩნევია), უმჯობესი იქნებოდა, ამხ. „დარი“-ს შუამდგომლობა აღეძრა, სადაც ჯერ არს, რომ მაღაზიები საერთოდ სწავლის დაწყებამდი ადრი [illegible]ლოს. ვინაიდან თუ ეს აუცილებელია ჩვენი რაიონისათვის, საჭიროა სხვა რაიონის მოსწავლეებისათვისაც.

სახელგ. [illegible] მაღ. გამგე ა. ულენტი.

მეაბრეშუმეობა ჩვენში წინეთ და ეხლა

მეაბრეშუმეობას ამიერ-კავკასიაში და, კერძოთ საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. დასავლეთ საქართველოს (ქვემო-იმერეთი, გურია და სამეგრელო) მცხოვრებთა თითქმის 80 პროცენტი მეაბრეშუმეობას მისდევს.

წარსულში პარკის შემსყიდველად გამოდიოდენ ადგილობრივი და უცხოელი ჩარჩები, რომელთაც, როგორც სურდათ, ისე იგდებდენ ხელში მას, ვინაიდან იმ დროს არავითარი კონტროლი მთავრობის მხრივ არ არსებობდა. მათი უმთავრესი საზრუნავი საგანი იყო მეაბრეშუმეთა ნაშრომ-ნამაგარით თავიანთი ჯიბეების გასქელება.

პარკის შემოსვლის პირველ ხანებში ისინი იწყებდენ მის შესყიდვას დაბალ ფასებში, შემდეგ უმატებდენ ფასს, მაგრამ ეს გრძელდებოდა ორიოდე დღე და შემდეგ ფასებს ისევ დაუწევდენ. ატყუებდენ მეაბრეშუმეებს წონაში, ვინაიდან ამ მხრივ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არავითარი კონტროლი არ არსებობდა. პარკი, რომელიც შეეფერებოდა 1-ლ ხარისხსას, ხაღდებოდა მე-2-ე ან მე-3-ე ხარისხად და სხვ. თესლს მეაბრეშუმეები იძენდენ ნაღდზე. უმთავრესად ჩვენში შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან ინდუსტრიალური თესლი. თესლი შემოჰქონდათ ისევ ჩარჩებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ მოგებით და არა მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებით.

ამისათვის მათ შემოჰქონდათ დაბალი ღირსების იაფი თესლი, რასაც ჩვენში ასაღებდენ ყოველივე კონტროლის გარეშე მაღალ ფასებში.

1915 წლიდან მსოფლიო ომის გამო მეაბრეშუმეობა საგრძნობლად შემცირდა და მენშევიკების დროს კი თითქმის არაფერს არ წარმოადგენდა. გასაბჭოების შემდეგ, 1922 წლიდან, მეაბრეშუმეობას ეტყობა თანდათანობითი გამოცოცხლება და დღეს ის თითქმის უდრის ომამდე არსებულ ნორმას.

1921—22 წლებში თესლის დარიგებას და პარკის დამზადებას აწარმოებდა სასურსათო კომისარიატი. 1923 და 24 წლებში კი ცეკავშირი, რომლის დროს პარკის მიღების შემდეგი წესი არსებობდა:

პარკს ღებულობდენ პუნქტებში და აძლევდენ მეაბრეშუმეებს ქვითარებს. ავგისტოდან არიგებდენ ავანსებს (12—40 ფუთზე ხვადასხვა საქონლით), რაზედაც მეაბრეშუმეები თავიანთი ქვითარებით [illegible] პუნქტებში. თესლის [illegible] (კარდენ 3 კოლოფის ფასს—9 მანეთს). შემდეგი წლის მარტში-აპრილში მიეცათ მეაბრეშუმეებს „დივიდენდი“ 6 მან. 71 კაპ. ფუთზე ისევ საქონლით. 1924 წელში თესლი დარიგდა და მისი ღირებულება განაღდებულ იქნა ცეკავშირის მიერ იმავე წესით, როგორც 1923 წელში. ავანსების მიცემა დაწყებულ იქნა ივლისიდან 10 მანეთის რაოდენობით, ავგისტოდან დამატებულ იქნა 3 მანეთი და 50 კაპ. და შემდეგი წლის მარტში-აპრილში მიეცათ „დივიდენდი“ 3 მან. ფუთზე. ასეთი იყო წესი პარკის დამზადებისა 1921—24 წლებში, როცა მეაბრეშუმეებს უხდებოდათ საბრეშუმო პუნქტებში ხუთ-ექვსჯერ მისვლა და რიგებში დგომა.

როგორი იყო ის წარსულ 1925 წელში საზოგადოება „აბრეშუმი“-ს ხელში და როგორი უნდა იქნეს მომავალში?

1925 წლის მარტში მთავრობის დადგენილებით დაარსდა სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა საზოგადოება „აბრეშუმი“-ს საორგანიზაციო ბიურო, რომლის დანიშნულებას შეადგენს: 1) სალი თესლის დამზადება და დარიგება, 2) პარკის შესყიდვა, მისი გადამუშავება და გაყიდვა და 3) კულტურული მუშაობა მეაბრეშუმეთა შორის მისი რაციონალურად კვება-მოვლაზე: ლექციების კითხვით, სპეციალური ბროშურების და პლაკატების გავრცელებით, საცდელი კვების მოწყობით და სხვ.

წარსულ წელში „აბრეშუმი“-ს საორგანიზაციო ბიურომ დარიგა საქართველოს მეაბრეშუმეთა შორის 78.200 კოლოფი თესლი ნისიათ პარკის მოსავლამდე, თითო კოლოფი (6-მისხლიანი) 2 მან. 70 კაპ., რომლის მთელი მოსავალი 104.500 ფუთი პარკისა შესყიდულ იქნა „აბრეშუმი“-ს მიერ ნაღდზე. გამომუშავებულ იქნა ფასები პარკზე საზღვარგარეთელ ბაზრების ფასებთან შედარებით: პირველ ხარისხის პარკზე 17 მან. და მეორე ხარისხზე—15 მან.

შემდეგ, ბაზრის ფასების ოდნავ გაუმჯობესების გამო, მომატებულ იქნა თითო მანეთი ფუთზე, ე. ი. პირველ ხარისხის 18 მანეთად და მეორე ხარისხის—16 მან. განსხვავება თითო მანეთი ფუთზე მიეცათ მეაბრეშუმეებს აგრეთვე ძველ ფასებში (17—15) შესყიდულ პარკზედაც.

თესლის ღირებულება (2—70) ერიცხებოდათ მეაბრეშუმეებს პარკის საფასურიდან: თუ მეაბრეშუმეებს წაღებული ჰქონდა ნახევარი კოლოფი, გამოერიცხებოდათ მხოლოდ 1 მან. 35 კ. თუ ფუთიც რომ [illegible] მოსავალი, ხოლო იმ მეაბრე[illegible] საიმედო პირები დაუმოწმებდენ, თესლის საფასური არ ხდებოდათ. შესყიდულ პარკში ფული ეძლეოდათ მეაბრეშუმეთ პარკის მოტანისთანავე ნაღდათ. პარკი იწონებოდა ზედმიწევნით სწორათ. მთელი შესყიდული პარკის 81 პროცენტი არის პირველი ხარისხისა, ხოლო მეორე ხარისხისა მხოლოდ 19 პროცენტი. მეაბრეშუმეთ ეძლეოდათ პარკის მიღების დროს ქვითარები, სადაც აღნიშნული იყო: პარკის წონა, გამორიცხული თესლის ღირებულება და მის მიერ ნაღდათ მიღებული ფულის რაოდენობა. ეს გარემოება (ქვითარების მეაბრეშუმეებზე მიცემა) გამოწვეული იყო, ერთის მხრით იმით, რომ მეაბრეშუმეს საშუალება ჰქონებოდა შეემოწმებინა—სწორედ იყო თუ არა გამოანგარიშებული პარკის ღირებულება და სხვ., და, მეორეს მხრით—საზოგადოება „აბრეშუმ“-ს საშუალება მისცემოდა ადგილებზე გამოერკვია, თუ რომელ მეაბრეშუმეს არ გადაუხდია თესლის საფასური და რა მიზეზით. ამრიგად, ქვითარების მეაბრეშუმეებზე მიცემა გამოწვეული იყო მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზებით და არა მომავალში რაიმე „დივიდენდების“ დაპირებებით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საზოგადოება „აბრეშუმმა“ პარკი შეისყიდა ბაზარზე იმ დროს არსებული ფასების მიხედვით ნაღდზე და, ცხადია, არავითარი დივიდენდის მიცემა მას შემდეგში არ შეუძლია.

საქართველოში [illegible] თესლეობის განვითარების მიზნით საზოგადოება „აბრეშუმმა“ სასურველად დაინახა მისი გაფართოვება, რა მიზნითაც ადგილობრივ სახელმწიფო და კერძო მეთესლეებს მისცა თესლის დასამზადებლად 2.700 ფუთამდე პარკი, საჭირო თანხები, და თავის კონტროლის ქვეშ დამზადებულ იქნა 75.000 კოლოფამდე საუკეთესო ხარისხის თესლი. წელს განზრახული აქვს საქართველოში 106.000 კოლოფი თესლის დარიგება, დანარჩენი 30.000 კოლოფი არის საზღვარგარეთელი კარგი ღირსების თესლი. ამრიგად, წელს 72 პროცენტი დარიგებული თესლისა იქნება ადგილობრივ დამზადებული.

საზოგადოება „აბრეშუმი“-ს საორგანიზაციო ბიურომ საჭიროდ დაინახა საქართველოს კოოპერატივების ხელში არსებულ ფარდულების შესყიდვა, რა მიზნითაც ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით და მთავრობის დასტურით შესდგა ფარდულების შემფასებელი კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ცეკავშირის და „აბრეშუმი“-ს წარმომადგენლებისაგან. აღნიშნულმა კომისიამ თავის მუშაობა უკვე დაამთავრა და საზოგადოება „აბრეშუმი“ უკვე შეუდგა კოოპერატივებისაგან ფარდულების გადმობარებას, რომელთა საფასურიც მიეცემათ კოოპერატივებს, თანახმად შემფასებელ კომისიის აქტებისა და მთავრობის დადგენილებისა, 50 პროცენტი წელს და 50 1927 წელში.

უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ „აბრეშუმი“-ს საორგანიზაციო ბიურომ გადადგა ნაბიჯი მთელი ფარდულების შესასყიდათ, იყო პარკის ზედნადები ხარჯების შემცირების მიზანი (წარსულ წელში კოოპერატივებს მიეცათ ფარდულების საიჯარო ქირათ 83.000 მან.).

იყო თუ არა გასულ 1925 წელში პარკის დამზადების საქმე და მეაბრეშუმეების მდგომარეობა გაუმჯობესებული წინა წლ. შედარებით? ეს ეჭვს გარეშეა. თუ წინად (ვგულისხმობთ მეფის დროს) მეაბრეშუმეები იძენდენ კერძო ჩარჩებისაგან შეუმოწმებელ თესლს ნაღდ ფასებში და გაფუჭების შემდეგ თესლის ღირებულება ეკარგებოდათ, ეხლა შემოწმებული, ჯანსაღი თესლი ეძლევა მეაბრეშუმეს ნისიათ პარკის მოსავლამდე, და თუ მას რაიმე მიზეზით ის გაუფუჭდება, თესლის საფასური არ გადახდება.

წინად პარკის კერძო მყიდველები იწყებდენ პარკის შესყიდვას ძლიერ დაბალ ფასებში და შემდეგ, თუ ფასები მოიმატებდა, უკვე შესყიდულზე არაფერს არ აძლევდენ. ეხლა კი პარკის შესყიდვის პროცესში თუ კი ფასები მოიმატებს, უკვე შესყიდულ პარკზედაც ეძლევა მეაბრეშუმეებს დამატებითი განსხვავება.

თუ წინად კერძო მყიდველები, მიუხედავად ბაზარზე არსებული ფასებისა, სცდილობდენ რაც შეიძლება დაბალ ფასებში შეესყიდათ პარკი და წონაშიაც ატყუებდენ, ეხლა ფასები მუშავდება მუდამ ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით და პარკის აწონა-მიღებაც საიმედო ორგანიზაციების ხელშია.

თუ 1921—24 წლებში მეაბრეშუმეებს უხდებოდათ პარკის ავანსების და მერე დივიდენდების მისაღებად ხუთ-ექვსჯერ მისვლა და რიგებში ყოფნა, ეხლა ის ღებულობს ერთხელ და სამუდამოდ ბაზრის ფასებთან თანასწორად შეფარდებულ მტკიცე ფასს ნაღდათ, პარკის ჩაბარებისთანავე.

მართალია, წინა წლებთან შედარებით, გასულ წელში მეტ ფასებში იქნა შესყიდული პარკი, მაგრამ ის მაინც ვერ ჩაითვლება იდეალურ ფასებად და მომავალში, თუ კი ბაზრის ფასები ამის საშუალებას მოგვცემს, მიღებულ იქნება ზომები, რომ პარკზე ფასები იქნეს შესაძლებლობის ფარგლებში გადიდებული, რასაც საზოგადოება „აბრეშუმი“ შესძლებს ნაწილობრივ ზედნადები ხარჯების შემცირებითაც.

„აბრეშუმი“-ს საორგბიურო.

საგეგმო კომისიაში

თამბაქოს თესვის კამპანიის ჩატარება მიმდინარე წელში

საგეგმო კომისიის დადგენილებით, მიმდინარე წლისთვის სამეურნეო დასათესი არე, რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იქნას სავსებით, განისაზღვრება სულ 2.500 დესეტინით, რომელიც მთავარ რაიონებს შორის ასე ნაწილდება: ქიზიყში (ლაგოდეხის და სხვ. რაიონები)—1.600 დესეტ., სამეგრელოში—500 დესეტ., გურიაში—350 დესეტ. და აჭარისტანში—50 დესეტ.

თამბაქოს მთესველთ უნდა მიეცეთ სესხი ზემოხსენებულ რაიონებში და განსაზღვრულ არეს ფარგლებში თითო დესეტინაზე არა ნაკლებ 350 მანეთისა ყველა რაიონებში (გარდა ლაგოდეხის, ახალსოფლისა და ვარდისუბნის რაიონებისა, სადაც სესხი უნდა უდრიდეს 400 მანეთს).

ბანკების თანხებიდან გაცემული სესხი თამბაქოს დასათესად შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს თამბაქოს მოსავლით მხოლოდ იმ რაოდენობით, რომელიც სავსებით დაჰფარავს გაცემულ თანხას თამბაქოს საშუალო ფასების მიხედვით, დანარჩენი თამბაქოს მოსავალი ყოველივე ვალდებულებისაგან თავისუფალია და თამბაქოს მომყვანის სრულ განკარგულებაში რჩება.

თამბაქოს მრეწველობის მიერ თამბაქოს დასათესად გაცემული ავანსები, უნდა მიეცეს უსარგებლოთ, იმ პირობით, რომ მთესველმა სრული მოსავალი ჩააბაროს ავანსის მიმცემ ორგანიზაციას.

თამბაქოს თესვის მთელი კამპანიის გეგმიანათ ჩატარების მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ურთიერთ შორის მავნე კონკურენციისა და, საერთოდ, ბაზრის დეზორგანიზაციის თავიდან ასაცილებლად, საგეგმო კომისიის დასკვნით საჭიროა თამბაქოს ფოთლით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა თამბაქოს დამზადების და მთესველთათვის ავანსების მიცემის შესახებ, ხელშეკრულებანი დასდონ მხოლოდ კოოპერატიულ კავშირთან—წარმოკავშირთან.

თამბაქოს დამზადების პროცესში ზედნადებ ხარჯების შემცირებისა, ფოთლის გახმობა-შენახვის ტეხნიკის გაუმჯობესებისა და, როგორც მრეწველობისათვის ჩასაბარებლად, აგრეთვე საექსპორტოთ გამზადებულ თამბაქოს, სტანდარტიზაციის მიზნით, საგეგმო კომისია საჭიროდ სცნობს თვითეულ რაიონში მთელ დასამზადებელ თამბაქოს ერთ ორგანიზაციაში თავმოყრას (უმთავრესად სპეციალურ კოოპერაციის ხელში).

თამბაქოს დამამზადებელმა და უმთავრესად კოოპერატიულ ორგანიზაციებმა, რომ თავის დროზე დაბალ ფასებში და საკმარისი რაოდენობით უნდა მიაწოდოს პირველ საჭიროების საგნები განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც თამბაქოს კულტურას ფართო მნიშვნელობის ხასიათი აქვს და მოსულ მუშა-ხელით არის უზრუნველყოფილი.

საგზაო მშენებლობა

სვანეთის გზა.

სვანეთის გზის პროექტის შედგენა უკვე დამთავრებულია. ხარჯთაღრიცხვა ამ გზისათვის შედგენილია 2.326.000 მანეთის ფარგლებში. კლდიან ადგილების სიმრავლის გამო, პირველ ხანებში გზის გატკეპნა, გათვალისწინებულია რბილ ყამირ ადგილებზე, რომელთა საერთო სიგრძე არ აღემატება 38-ნახევარ კილომეტრს.

ახალი გზა ზოგ ადგილას გაივლის ახლა არსებულ ჯვარის საცალფეხო გზაზე. მდინარე ინგურზე ხიდი აგებულ იქნება ან სოფელ ხუბერთან, ან ცოტა ქვევით, რასაც გამოარკვევს დამატებითი კვლევა-ძიება. ახალი გზა უფრო მოკლე იქნება 13 ნახევარი კილომეტრით, ვიდრე ჯვარის საცალფეხო გზა.

გზის გაყვანის შემდეგ შესაძლებელი იქნება ცხუმერის თემში გრაფიტის, ეწერის მთებში კი ოქროს საბუდოების გამოკვლევა.

გზის გაყვანის ვადა იყოფა სამ პერიოდად: პირველ რიგში განზრახულია გზის გაყვანა სოფ. ხაიშიდან სოფ. ლოხამულამდე, რადგან გზის ეს ნაწილი ყველაზე უფრო მიუვალია.

სვანეთის მოსახლეობა დიდის აღტაცებით ხვდება გზის გაყვანას. ამას წინად იმ თემების ყრილობაზე, რომლებშიაც გაივლის ახალი გზა, გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ ყოველმა მოზრდილმა სვანმა უფასოდ იმუშაოს გზაზე 14 დღე წელიწადში. ეს კი გზის აშენებაში იძლევა 2 ათასი მანეთის ეკონომიას. ამასთანავე აღმასკომის ხარჯები შემცირებულია 180 ათასი მანეთით, ყოველ წლიურად იმ პირობით, რომ ეს თანხა მოხმარდეს გზის გაყვანას.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილი.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე სწარმოებს მიმდინარე შესაკეთებელი მუშაობა. უკვე დამთავრდა 10 მოზრდილი ხიდის კაპიტალური რემონტი, ამჟამად სწარმოებს ხიდების შეღებვა. თვით გზა-ტკეცილის შეკეთებას აგვიანდება, რადგან მის შესაკეთებლათ საჭირო თანხები მიღებული არ არის. გზატკეცილი ისეთ ცუდ მდგომარეობაშია, რომ სძნელ ავტომობილებით მიმოსვლა, რომელიც სწარმოებს მხოლოდ ქუთაისს და ხონს შუა ონს ზევით რეგულიარული საავტომობილო მოძრაობა არ არის. თუმცა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან ონს ზევით მდებარეობენ უწერის სამკურნ. წყლები და კურორტი შოვი, რომელიც ზაფხულობით დიდძალს მოაგარაკეთ იზიდავს. გზატკეცილის სამმართველოს განზრახვა აქვს შეაკეთოს გზატკეცილი ონიდან ვიდრე მამისონის უღელტეხილამდე.

სურამ - ძირულის გზატკეცილი

მაისში განახლდება მუშაობა სურამ - ძირულის გზატკეცილის გასაყვანად. პირველ რიგში მუშაობა იწარმოებს შროშა - ძირულის უბანში. ახალი გზის საერთო სიგრძე უდრის 52 ვერსს.

საავტომობილო მიმოსვლა ქუთაისს - ბაღდათს შორის

25 აპრილს „ზაკავტოპომტორგის“ ქუთაისის განყოფილებამ განაახლა მოძრაობა ქუთაისს - ბაღდათს შუა. მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს. გზატკეცილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არის.

საძოვრების მოწყობა

მიწათმოწყობის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საძოვრების მოწყობას. ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მესაქონლეობა, ჯერ კიდევ არ გადასულა განვითარების უმაღლეს ფორმებზე. მომთაბარეობა—ეს ჩამორჩენილი წესი მეურნეობისა, ჯერ კიდევ წინანდებურად ძლიერია ჩვენში, ამიტომ საძოვრების მოწყობამდე საჭიროა ჩატარებული იქნეს წინასწარი მუშაობა, რომელიც უნდა გამოიხატოს საძოვრების რაოდენობის აღნუსხვა-გამოკვლევაში, მათ შესწავლა-შეფასებას და აგეგმვაში, სანახირო გზების გაყვანაში და საძოვრების დანაწილებაში მომთაბარეთა და საძოვრების რაიონების მცხოვრებთა შორის.

ამასთანავე საჭიროა კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება, როგორიცაა, მაგალითად. სარძეო მეურნეობის განვითარება და მასში კოლექტიური წარმოებისათვის ხელის შეწყობა, დაბალი ხარისხის საძოვრების გაუმჯობესება ბალახის თესვის შემოღებით, საქონლის ჯიშების შერჩევა, განვითარება და გავრცელება ბუნებრივ პირობებთან შეგუებით, საცდელი სადგურების მოწყობა და მომთაბარე მეურნეობის თანდათან გადაყვანა ლაპიური ტიპის მეურნეობაზე, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

ამას გარდა, საძოვრების მოწყობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საექსპლოატაციო - ორგანიზაციული დარგის მოგვარებას. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ საძოვრების შემოსავლიანობის სათანადოთ ასაწევად, რაც დღეს ძლიერ შეფერხებულია, საჭიროა მოიჯარადრეებს იჯარა გადახდეთ დანიშნულ ვადაზე უცვლელად, იჯარის შეუტანლობისათვის მოიჯარადრეს უნდა ჩამოერთვას საძოვარი და მისი დავალიანება დაფარული უნდა იქნეს მისი საქონლის ნაწილის გაყიდვით; გამონაკლისი დაშვებული უნდა იქნეს უბედური შემთხვევის დროს, როგორიცაა გვალვა, საქონლის ჭირი ან სხვა სტიქიური დაზარალება.

საოპერაციო გეგმის მიხედვით, მიმდინარე წელში შესწავლილი იქნება 105.253 დესეტინა საძოვარი, ლანდიური, სამი ინგლისური, [illegible] 158.639 დესეტინა, რაზედაც იმუშავებს 8 ტეხნიკოსი 9 თვის განმავლობაში.

დღემდე საქართველოში სულ მოწყობილია 125.000 საზამთრო საძოვარი.

კ.

ნაოსნობა საქართველოს მდინარეებზე

სანავოსადგურო განყოფილების სახარჯთაღრიცხვო - საინსპექციო კომისიამ დაამთავრა მდ. მტკვარისა და მდ. რიონის გამოკვლევა, რომლის მიზანიც იყო გამორკვევა საკითხის, შესაძლებელია თუ არა ამ მდინარეებზე სანაოსნო მოძრაობა.

მტკვარზე ნაოსნობა სწარმოებს შესართავიდან პეტროპავლოვსკამდე. კომისია აყენებს საკითხს ნაოსნობის გაგრძელების შესახებ პეტროპავლოვსკიდან სოფელ ზარდაკამდე 160 ვერსის სიგრძეზე. კომისიის დაკვირვებით ჩანს, რომ მდინარის კალაპოტი ამ ნაწილში თავისუფალია დიდი ლოდებისაგან და ფარვატერი იმდენად ღრმაა, რომ შესაძლებელია ნაოსნობის მოწყობა, ამისათვის საჭირო იქნება მხოლოდ შესაჩერებელი ადგილების მოწყობა და ფანრების დადგმა ღამით მოძრაობისათვის. განყოფილებას აზრათ აქვს შუამდგომლობა აღძრას ნაოსნობის დაწყების შესახებ მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

მდ. მტკვრის კალაპოტი სოფელ ზარდობიდან ევლახის ხიდამდე საჭიროებს სარეგულაციო მუშაობას (გაწმენდას); ამ მუშაობისათვის საჭირო თანხები შეტანილ იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

კომისიის მიერ აღძრულია აგრეთვე საკითხი ნაოსნობის გაგრძელების შესახებ მდ. მტკვარზე და ნაწილში მტკვრის და ალაზნის შეერთებამდე და აგრეთვე მდ. ალაზანზე შესართავ ადგილიდან ქ. სიღნაღამდე.

ალაზნის პირად მდებარე რაიონები მეტად მდიდარია, მაგრამ დღემდე მოკლებულნი არიან გზატკეცილებს. ნაოსნობა მდ. ალაზანზე გამოაცოცხლებს ამ მდიდარ კუთხეს.

ნავთსადგურების განყოფილების ტეხნიკურმა კომისიამ დაამთავრა აგრეთვე მდ. რიონის ეკონომიური და ტეხნიკური გამოკვლევა, რომლის შედეგებიც ფრიად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. მდინარის კალაპოტი საკმაოდ სუფთა აღმოჩნდა. ეკონომიურ გამოკვლევის შედეგებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტვირთსაზიდი და სამგზავრო მიმოსვლა მდ. რიონზე შემოსავალს მისცემს ნაოსნობას, რომელიც განზრახულია დაიწყოს მომავალი წლიდან.

სახალხო ჯანმრთელობა

ახალ სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა.

ბათომის თამბაქოს ქარხანა „ვოსტოკ“-თან დამზღვევმა სალარომ ხსნის ახალ მუშათა ამბულატორიას 4 განყოფილებით. ამბულატორია ყოველდღიურად გაატარებს 150 კაცს.

წითელ ნახევარ მთვარემ სოფელ გოროჯომში (აჭარისტანი, ხულოს მაზრა) გახსნა უფასო სამკურნალო პუნქტი.

სახ. მედ. ვაჭრობა რაჭის მაზრაში ხსნის 3 ახალ აფთიაქს—სოფ. პატარა ონში, სოფელ ბუგეულში და ღებში.

საზაფხულო სეზონისათვის

ახალი აგარაკი.

მიმდინარე წლის პირველად იხსნება საავგარაკო სეზონი ბორჯომის ხეობის მშვენიერ ფერდობზე—ტბაზე. ეს საავგარაკო სოფელი მდებარეობს სადგურ ცემის ზევით.

ორი წლის წინედ სოფელი ტბა წარმოადგენდა სრულიად შეუმჩნეველ ადგილს, სადაც აქა-იქ გაბნეული იყო გლეხების პატარა ქოხები. 1924 წლიდან ადგილობრივმა გლეხებმა იწყეს საავგარაკო სახლების აგება მათი გაქირავების მიზნით, ხოლო 1925 წლისათვის სახლების რიცხვი ისე გამრავლდა, რომ სოფელი ტბა უკვე წარმოადგენდა [illegible] მოწყობილ პატარა აგარაკს.

შარშან ზაფხულზე რკინისგზის დამზღვევმა კასამ აგარაკ ტბაზე დააწყებს დიდი სანატორიუმის შენობის აგება, რომელიც მიმდინარე წლის სეზონისათვის უკვე დამთავრდება და სანატორიუმი წრეულს პირველად მიიღებს ავადმყოფებს.

აგარაკ ტბას ახლო მდებარე აგარაკებთან აქვს სხვა უპირატესობაც. სოფლიდან ვერსნახევარის დაშორებით ამოჩქეფს მჟავე წყარო, რომელიც სპეციალისტების გამოკვლევით შეიცავს რკინის, მარილების, ტუტოვანი ლითონების და იოდის საკმაო რაოდენობას. ამ წყლის სმა ხელს უწყობს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის გაუმჯობესებას ორგანიზმში და შველის იმ ავადმყოფებს, რომელთაც მოშლილი აქვთ სისხლსადენი [illegible]

აგარაკი ტბა—ჰავით, მისი მზი[illegible] რობით, სუფთა ჰაერით, წიწვ[illegible] ლური წყაროებით და სხვ[illegible] არ ჩამოუვარდება საქართ[illegible] აგარაკს და წარმომადგე[illegible]

სახ. კომისართა საბჭოში

ბინის ქირის შესახებ

„სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო საერთოდ საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული დებულების პროექტი ქ. თბილისში ბინის ქირის შესახებ, მხოლოდ პროექტის მე-12 მუხლში აღნიშნული თავისუფალ პროფესიის პირთათვის დაწესებულ იქნა ბინის ქირის მინიმუმი 10 კაპ.; მაქსიმუმის რაოდენობის განსაზღვრა დაევალა საგეგმო კომისიას თბილისის აღმასკომთან შეთანხმებით წარმოდგენილ დებულების საფუძველზე.

სახ. დაწესებულებებთან შემნახველი სალაროების დაარსება

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ და მიზანშეწონილად სცნო საქართველოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში შემნახველი სალაროების დაარსება.

მონოპოლია კინო-სურათების გადაღებაზე

სახალხო კომსართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის სააქციო საზოგადოებას საქართველოს ს. ს. რ. (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკა-ოლქითურთ) ფარგლებში მიენიჭა კინო-სურათებისა და კინო-ლენტების გადაღების მონოპოლიური უფლება.

ამ მიზნით წინადადება მიეცა იუსტიციის სახ. კომისარს ზემოხსენებულ დადგენილების თანახმად შეიმუშაოს სათანადო დადგენილება.

ბორჩალოს მაზრაში არსებულ ყველის ქარხნის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭომ ნება მისცა ბორჩალოს სამაზრო აღმასკომს ქ. თბილისის კომუნალური ბანკიდან სესხად 25.000 მან. ყველის ქარხნის საჭიროებისათვის.

ამხ. დ. ოფციაურის დანიშვნა

საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. დ. ოფციაური.

მიწსახკომის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრათ დაინიშნა ამხ. კ. კანდელაკი.

აკადემიურ დასის გასტროლების შესახებ

სახალხო კომისართა საბჭომ სასურველად სცნო ქართული აკადემიური დასის მიმდინარე წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის გასტროლების განთავისუფლება ყოველგვარი ადგილობრივი გადასახადისაგან.

◆

განათლების ფრონტზე

საზღვარგარეთ მივლინება

სახ. უნივერსიტეტმა სამეცნიერო მიზნით გერმანიაში მიავლინა უნივერსიტეტის ნორმალურ ანატომიის კათედრის ასისტენტი მიხეილ კოკოჩაშვილი.

1 მაისი

განათლების კომისარიატმა პიონერებისათვის [illegible] სადღესასწაულო ტანისამოსის შესაკერათ გადასდო 300 მან.

მასწავლებელთა გადამზადება

განათლების კომისარიატის დადგენილებით, წელს მთელ საქართველოში გაიხსნება 4 წლიური მასწავლებელთა 3 გადასამზადებელი კურსები. თითო კურსებზე დაშვებული იქნება არა უმეტეს 100 კაცისა. კურსს დამთავრებულნი განაწილებულნი იქნებიან თემებსა და რაიონების სკოლების ხელმძღვანელებათ.

შენობების შეკეთება

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა წელს საფუძვლიანათ შეაკეთოს თავის ქვემდებარე დაწესებულებათა ყველა დაზიანებული შენობები.

ბავშვები აგარაკებზე

წელს საბავშვო სახლებიდან, სააგარაკოთ ბავშვები გაიგზავნებიან ფასანაურში, კოჯორში და ალბულაღში. სულ გაიგზავნება 800 ბავშვი.

სკოლების აღწერა

განათლების კომისარიატმა დაადგინა წელიწადში ორჯერ, სახელდობრ: სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლო მოახდინოს სკოლების აღწერა თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით.

საშუალო განათლების მისაღებათ

იმ პირთათვის, რომელთაც სურთ მიიღონ საშუალო საერთო განათლების სასწავლებლის კურსის ცოდნის მოწმობა, განათლების კომისარიატთან დაარსდა საგამოცდელო კომისია, რომელიც გამოცდების წარმოებას დაიწყებს 1 ივნისიდან 30 ივნისამდე.

ქრონიკა

ჭიის თესლის დარიგება.

სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა საზოგადოება „აბრეშუმს“ შრომის კომისარიატმა ნება დართო მაისის პირველ სამ დღესაც აწარმოვოს საქართველოს საბრეშუმო რაიონებში ჭიის თესლის დარიგება, რადგან შესაძლოა თესლის დარიგების შეჩერებამ არაჩვეულებრივი სიცხის გამო დიდი ზარალი მისცეს ხალხს.

მტკვარი 29 აპრილს

29 აპრილს მტკვრის დონე აღწევდა 2 მეტრს და 25 სანტიმეტრს. 27 და 28 აპრილს მდინარემ აიწია 5 სანტიმეტრით.

სესხი გლეხებს.

რაჭის აღმასკომმა მაზრაში გლეხებს ოთხფეხ საქონლის შესაძენად დაურიგა სესხად 7.000 მან. ვალადებული გლეხები ვალის გასასტუმრებლად იმუშავებენ ხე-ტყის დამზადების საქმეზე, რომელსაც აწარმოებს რაჭის აღმასკომის სატყეო მრეწველობის განყოფილება ამიერ-კავკასიის რკინისგზებისათვის. სულ დამზადებული იქნება 100.000 კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა.

მუშათა სახლების აგება.

ნავთის სინდიკატმა ბათუმში თავის მუშებისათვის სახლის ასაგებად გადასდო 190.000 მანეთი.

მატყლის დამზადება.

გაზაფხულის მატყლის დამზადების კამპანია უკვე დაიწყო. ა.-კ. კოოპერატიულ კავშირთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად მატყლის დამზადებას აწარმოებს ცეკავშირი.

თხილისა და კაკლის გატანა.

ა.-კ. კოოპერატიული კავშირი საზღვარგარეთ გასასაღებლად ამზადებს 20.000 ფ. თხილსა და კაკალს.

თამბაქო.

მიმდინარე სეზონში აფხაზეთში ა.-კ. კოოპერატიული კავშირი დაამზადებს 25.000 ფუთ თამბაქოს.

შაბიამანი.

საოპერაციო წლის პირველ ნახევარში ა.-კ. შემოტანილი იქნა 33.000 ფუთი შაბიამანი.

შრომის კომისარიატში.

◆ **დასასვენებელი დღეები.** მრავალი შეკითხვების გამო შრომის კომისარიატი განმარტავს, რომ 1 მაისი გამოცხადებულია სარევოლუციო უქმე დღეთ, ხოლო 3 მაის (ორშაბათი) დასვენების დღეთ.

◆ **1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე** დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათიდან და დამთავრდება ნაშუადღევის 2½ საათზე.

◆ **შრომის კანონთა კრებული.** შრომის სახ. კომისარიატი ახლო მომავალში გამოსცემს ქართულ ენაზე 1922 წლის შრომის ძირითად კანონთა კოდექსს.

◆ **გამოკვლევა.** გასულ წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექციამ გამოიკვლია სოფლად არსებული 49 ორგანიზაცია.

◆ **შემთხვევები.** 1925 წელში საქართველოს წარმოებებში აღრიცხულია 192 უბედური შემთხვევა.

◆ **უმუშევრები.** 1 აპრილისათვის თბ. შრომის ბირჟაზე ითვლებოდა 11,907 უმუშევარი, მარტის პირველ რიცხვებში კი 12,394.

სოციალური უზრუნველყოფა

◆ **გლეხკომების ყრილობა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ცნობა მიიღო მოსკოვიდან, რომ იქ მაისის შუა რიცხვებში დანიშნულია ურთი-ერთ დამხმ. გლეხთა საზოგადოებების (გლეხკომების) ყრილობა. ამ ყრილობას დაესწრება საქართველოდან სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

◆ **პენსიები და დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, ქუთაისის მაზრაში იანვარში, თებერვალში და მარტში დაურიგდა ინვალიდებს და გაჭირვებულთ პენსიების და ერთდროული თვიური დახმარების სახით 2.482 მან. და 50 კაპ.; დამსახურებულმა მოღვაწეებმა გაძლიერებული პენსიების სახით მიიღეს 1062 მანეთი, გაჭირვებულთ მიეცათ ერთდროულ დახმარებათ 273 მანეთი, და ღარიბების ექიმობაზე და წამლობაზე დაიხარჯა 209 მანეთი; ზემოაღნიშნულ სამი თვის განმავლობაში ქუთაისის თავშესაფარში მოთავსებული 10 ინვალიდის შესანახავათ დაიხარჯა 541 მანეთი.

სოციალური დაზღვევა

◆ **დაზღვეულ უმუშევრებზე** სოც. დაზღვევის სამმართველომ გასული წლის განმავლობაში დახარჯა 184.844 მან.

◆ **მკურნალობა.** თბ. სავადმყოფოებში დაზღვეულთათვის გამოყოფილია 110 საწოლი: ქიათურაში 100 და ტყიბულში—20.

◆ **ვენერიული სნეულებების** საწინააღმდეგოთ ახლო მომავალში თბილისში, ბათომში და სოხუმში გაიხსნება ვენერიული დისპანსერები, საიდანაც უფასოდ ისარგებლებენ დაზღვეულები.

სხვადასხვა

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, პარასკევს 30 აპრილს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება მოხსენება პირველ მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად. მოხსენების შემდეგ—კინო.

◆ **როზა ლიუქსემბურგის** სახელობის თამბაქოს ქარხანაში ამჟამად მუშაობს 370-მდე კაცი.

◆ **სავადმყოფოები.** ამჟამად საქართველოში მოწყობილია 86 სავადმყოფო 3701 საწოლით.

◆ **დოლი.** ორშაბათს 3 მაისს, შესდგება დოლი. უდიდეს ჯილდოთ დანიშნულია 300 მან.

შემთხვევები

◆ **გაძარცვა.** 24 აპრილს, სართიჭალაში გაძარცვეს მეურმე გლეხები: ითიშვილი, კეჟერაძე და ოქდანოვი.

◆ **მკვლელობა.** 23 აპრილს, ყარაიაზში მოკლეს მწყემსი მამედ ომარ ოღლი.

◆ **თავდასხმა.** 17 აპრილს სოფ. ახალკის გზაზე ურმით მიმავალ საბა მურადოვს თავს დაესხენ ავაზაკები, სცემეს და ურემი ხრამში გადაუგდეს.

◆ **ჯიბგირობა.** 28 აპრილს, ი. ქავთარაძეს ამოაცალეს ვერცხლის ქამარი.

◆ **ამავე დღეს** აირაპეტ ღამბაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 41 მანეთი.

◆ **ქურდობა.** 24 აპრილს, სართიჭალაში ტ. სამოდუროვს მოჰპარეს 2 ხარი და 11 ცხვარი.

◆ **ამავე დღეს** პატარძეულში გიუნაშვილის ვენახიდან მოიპარეს 148 ცალი ნამყენი.

ხელოვნება

მწერალთა კავშირში

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ქართული პოეზიის ტრადიციული დღე დანიშნულია ხუთი მაისისათვის.

პოეზიის დღის მომწყობ კომისიაში შედიან—გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე და ნოე ზომლეთელი.

კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია დღეს 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მწერალთა კავშ. პრეზიდიუმის ოთახში.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი პოეზიის დღისათვის ცემს გაზეთს „პოეზიის დღე“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, [illegible] დაბა-ქალაქებში უნდა გაიმართოს 5 მაისის ბეჭდვითი სიტყვის დღესთან ერთად.

ქართული სახელმწიფო დრამის გასტროლები

თბილ. სახელმწიფო დრამის საგასტროლო მოგზაურობა დიდის მხატვრული და მატერიალური წარმატებით მიმდინარეობს.

უკვე იყო წარმოდგენები სამტრედიაში (2), აბაშაში (1), სენაკში (1). ამჟამად დასი ფოთშია, სადაც დღეს მართავენ მეოთხე წარმოდგენას. ხალხი ყველგან დიდის აღფრთოვანებით ხვდება.

ფოთში, გარდა გამოცხადებული ოთხი წარმოდგენისა გაიმართება კიდევ ორი უკანასკნელი, გამოსათხოვარი წარმოდგენა: „დეზერტირკა“ და „მათრახის [illegible]“. ფოთიდან დასი [illegible]რაში, სადაც გასტროლები დაიწყება 4 მაისს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **საზღვარგარეთ მივლინება.** განათლების კომისარიატმა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა რათა საზღვარ-გარეთ სახელმწიფო ხარჯზე გაიგზავნოს კონსერვატორიის მოწაფე ანდრო ცვანიძე.

◆ **სახალხო სახლი.** სოფ. ჩანჩეთში სახალხო სახლის ასაგებათ ცაკის წინადადების თანახმად, განათლების კომისარიატმა გადასდო სათანადო თანხა.

◆ **მსახიობთა შრომის კოლექტივი.** იუზა ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით შესდგა მსახიობთა შრომის კოლექტივი, რომელშიაც შედიან: ზ. ზარდალიშვილი, ბარველი, ხონელი, სირბილაძე, სიბილა, წინამძღვარი, ჯაფარიძე, ჩხიკვაძე, ჯულელი, ბაშელი, ოყროშიძე და მილორავა. კოლექტივი წარმოდგენებს გამართავს: ოჩამჩირაში, გუდაუთში, გაგრაში, სოჭაში, ტუაპსეში და ნოვოროსიისკში. რეპერტუარი: „თერძი მინისტრი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ვინ არის დამნაშავე“.

◆ **ფოთის სახელმწიფო დრამის სეზონი** დაიხურა 24 აპრილს. 6 თვის განმავლობაში სულ გაიმართა 53 წარმოდგენა.

◆ **ჟურნალი „ხელოვნება“.** მორიგი ნომერი გამოვა დღეს, 30 აპრილს.

— **ახალი პიესა.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ს. რემონიძის ხუთ მოქმედებიანი დრამა „ძმები“.

მზადება გადაფრენისათვის

საკავშირო აეროქიმი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 2, 3 და 4 აპრილს აწყობს ყულაბებით ფულის შეგროვებას საბჭოთა კავშირიდან ევროპაში დიდი გადაფრენების მოსაწყობად. მთელი კავშირის მასშტაბით განზრახულია 500.000 მ. შეკრება.

ფულის შეკრების დროს აეროპლანებიდან გადმოყრიან ფურცლებს, რომლებშიც განმარტებული იქნება გადაფრენის მნიშვნელობა, 2, 3 და 4 მაისს აეროპლანები ამავე მიზნისათვის გადაფრინდებიან დასავლეთ საქართველოში და კახეთში, სადაც ქუთაისში და სოხუმში მოეწყობა მსურველთა აფრენა ჰაერში. რაც შეეხება ევროპის გადაფრენაში მონაწილე აეროპლანებს, ისინი უკან დაბრუნების დროს ივლისის პირველ რიცხვებში ანგორიდან გამოივლიან თბილისში.

◆

სასამართლო

განაჩენი ფარმ. ჭეიშვილის საქმეზე.

გუშინ გაიმართა მხარეების კამათი. სახელმწიფო ბრალდებელი **პავლიაშვილი** მხარს უჭერს ჭეიშვილის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებას და დამტკიცებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ იუზბაშევი მოწამლული იყო ჭეიშვილის მიერ გაცემულ ბერთოლეს მარილით და მოითხოვს მის პასუხისგებაში მიცემას სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობისათვის.

სამოქალაქო მოსარჩლე **ზედგინიძე** მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებელს.

დამცველი **პ. ქავთარაძე** აკრიტიკებს ბრალმდებლის დებულებებს და მოითხოვს ბრალდებულ ჭეიშვილის გამართლებას.

საბოლოო სიტყვა მიეცა ბრალდებულ **ჭეიშვილს**, რომელიც თავს დამნაშავედ არ სცნობს და სთხოვს სასამართლოს განთავისუფლებას.

სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად.

4 საათი თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. ბრალდებული ჭეიშვილი იმთავითვე იქნა ცნობილი იმაში, რომ იუზბაშევს გლაუბერის მარილის მაგიერ მისცა ბერთოლეს მარილი, რამაც გამოიწვია იუზბაშევის სიკვდილი; სასამართლომ მას მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

სასამართლომ გამოიტანა აგრეთვე დადგენილება ექიმების: **მანუკ იუზბაშევის** და **მოსესოვის პასუხისგებაში მიცემის** შესახებ უყურადღებობისა და ავადმყოფთადმი დახმარების აღმოუჩენლობისათვის.

ბრალდებულ ჭეიშვილს უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში გაასაჩივროს განაჩენი უზენაეს სასამართლოში.

საზოგადოება „ბირლიკი“-ს თანამშრომელთა საქმე.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბრალდებული **მინასაზოვი** (საზ. „ბირლიკი“-ს გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე) თავს არ გრძნობს დამნაშავედ და უარჰყოფს ა.-კ. სავაჭრო სამმართველოსთან ფიქტიური ხელშეკრულების დადებას. ბრალდებული **ყარამანოვი** აცხადებს, რომ გამგეობის მიმდინარე მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ ავანსების მიღებაში. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე თუ რით ხსნის იმ გარემოებას, რომ როდესაც ბაზარზე ფუთი მატყლი დაახლოებით 8 მან. ფასობდა, ამ დროს ის სახელმწიფო ორგანოებთან სდებს ხელშეკრულებას ფუთი მატყლის 5 მანეთად მიწოდების შესახებ—ბრალდებულმა განაცხადა, რომ გვინდოდა ავანსების მიღებაო.

ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

ნიკოლოზ ლეონიძის და იოსებ ხოფერიძის საქმე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **პაპავას** თავმჯდომარეობით დაიწყო **ნიკოლოზ ლეონიძის** და **იოსებ ხოფერიძის** საქმის გარჩევა.

ლეონიძეს და ხოფერიძეს ბრალათ ედებათ ნატალია ფეოდოროვას გაუპატიურება.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

პატეევის და ბორასიუკის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა **ისაკი პატეევის** და **დენი ბორასიუკის** საქმე.

პატეევს და ბორასიუკს ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა და გაძარცვა.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავედ.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომლითაც დადასტურდა წინასწარი გამოძიებით გამორკვეული ფაქტები.

მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულები მოქმედებდნენ მატერიალურად შევიწროების პირობებში ყოფნის დროს.

სასამართლომ ბრალდებულ პატეევს მიუსაჯა სამი წლით, ხოლო ბრალდებულ ბორასიუკს—ორი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

იურიდიული დახმარება

ჩემი სამსახურში შესვლის გამო ბავშვები პენსიას დაკარგავენ თუ არა?

კითხვა

ჩემი ქმარი, იასონ კი-შვილი, მსახურობდა რკინისგზაზე მთელ ოცდაათი წლ. განმავლობაში. იგი იყო კავშირის წევრი და დაზღვეული. წარსულ წლის აპრილში ქმარი უეცრად გარდაიცვალა, სარჩენად დამრჩა სამი მცირეწლოვანი ბავშვი 2—6 წლამდის. ბავშვებს დაენიშნათ პენსია. პირადათ მე არ ვარ შრომის უნარ დაკარგული, შემიძლია მუშაობა; მაქვს სურვილი ვიმუშაო, რადგანაც პენსიის ფული არ გვყოფნის ორს კაცს.

[illegible] ბავშვებს მიეცემათ თუ არა პენსია იმ შემთხვევაში, რომ მე სადმე სამსახურში შევიდე?

ქვრივი გლეხის ქალი მარიკა გ—თუა.

პასუხი.

მამის სიკვდილის შემდეგ მცირე-წლოვან შვილებს 16 წლის ასაკამდის ეძლევათ პენსია სრულებით იმაზე დამოუკიდებლად, მათი დედა (ამ შემთხვევაში თქვენ) სადმე მუშაობს თუ არა. ამიტომ თქვენ სამსახურში შესვლას არ შეუძლია მოუსპოს შვილებს პენსია, რომელიც მათ ეძლევათ მამის სიკვდილის გამო, ვის კმაყოფაზედაც ისინი იმყოფებოდენ.

(იხ. ა.-კ. შრომის სახკომატთან არსებულ ა.-კ. სოცდაზღვევის საბჭოს მიერ გამომუშავებული და სახელმძღვანელოდ გამოცემული 1925 წ. 16 ნოემბრიდან ინსტრუქცია „პენსიების დანიშვნის წესების შესახებ“).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზე, სახ. № 55-ში, მიჭირავს ორი ოთახი ქუხნით, სივრცით 80 კვადრატიული არშინი. სახლის პატრონს დღემდე ვაძლევდი 1 მანეთს და 20 კაპ. ეხლა კი ის ამ ქირას არ იღებს და მთხოვს 6 მანეთს. ვარ რკინის გზის კავშირის წევრი; ჩემი თვიური ხელფასი უდრის 38 მან. ჩემთან ცხოვრობს აგრეთვე ჩემი ბიძაშვილი, რომელიც [illegible] კავშირის წევრია და მისი თვიური ჯამაგირი უდრის 45 მ.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადვიხადო ოთახის ქირა და სახლის პატრონმა თუ არ მიიღო, იმ შემთხვევაში, როგორ უნდა მოვიქცე?

ლევან ლიპარტიანი.

პასუხი

პირად თქვენ, თქვენ მიერ ფაქტიურ დაჭერილ საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით, როგორც ქალ. განაპირა უბანში მცხოვრები, ერთ კაპეიკს. თქვენი ბიძაშვილი კი გადაიხდის მოედნისათვის ცალკე რაც მას ფაქტიურად უჭირავს და თითოეულ კვადრატ. არშინზე ერთ კაპ.-ნახევარს (1,5 კაპ.). თუ სახლის პატრონი კანონიერ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში.

პარტიული კალენდარი

ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტიკური სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქეთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

ს. ლ. კ. კ. წევრს 1923 წ. ნიკო უზანისძე კვინჯინის, მუქლიძე ზაქრო ანტონისძეს.

თუ ვისმე აქვს რაიმე საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით: ქართული სამხედრო პოლიტსკოლა, ყოფ. ალექსანდროვის ქ., № 2.

ხუთშაბათს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ს. კ. პ. (ბ) ც. კ. **ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა.**

სხდომას უნდა დაესწრონ: ამხ. თოდრია, კანდელაკი დ., ასრიბეკოვი, ყურულაშვილი, სუტირინი, გორდელაძე, ბიბინეიშვილი, პაპავა, ასათიანი, ძელიძე, რუხაძე ლ., თალაკვაძე, კიკნაძე, ტოროტაძე, ძიგრაშვილი, ფრანგიშვილი, ზოლოთარევი, კალაძე რ., გედევანიშვილი, [illegible], ამალობელი, ბუხიძე, [illegible], შინატებელი, ბუხნიკაშვილი, [illegible] ლისაშვილი, ესაკია, მაშაშვილი, [illegible]სკი, სტორი, შტუნი, აკოფოვი [illegible] და სამსონიძე.

დღეს 30 აპრილს, დილის 10 საათზე შესდგება საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის **პრეზიდიუმის სხდომა.**

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედი ატყობინებს ცალკე უჯრედების წევრთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 30 აპრილს, საღამოს 4 საათზე, მოწვეულია **კომუჯრედთა გაერთიანებული კრება.**

ს. კ. პ. ლენრაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ვარლამ მოწონელიძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს რაიკომის საორგრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში.

ვინ არის წინააღმდეგი?

მე-6-ე ქარ. ლეგიონის ბ/კოლექტივში შეტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მისაღებათ შემდეგ ამხანაგებს: მუქერია გრიგოლი ივანესძე, შენგელია ესილი ილარიონისძე, გიგინეიშვილი კონსტანტინე სოლომონისძე, ნიკოლაიშვილი ივანე სიმონისძე, სარიანცი ვაჩაკან პოლოსისძე.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხანაგების მიმართ უნდა შეატყობინონ მე-6-ე ქართულ ლეგიონის ბიურო-კოლექტივში.

სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს

„კომუნისტი“-ს № 16-ში (21 იანვარს) იყო მოთავსებული ვინმე იქაურისაგან წერილი. წერილის ავტორი გზის ოსტატს ვარლამ ქანტურიას ბრალს სდებდა სხვადასხვა ბოროტმოქმედებაში. ბადიაურის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ გამოარკვია, რომ ეს ბრალდებები ქანტურიაზე არ შეიცავს სინამდვილეს. პირიქით, ქანტურია არის პატიოსანი მუშაკი და კარგი ადამიანი.

ბადიაურის ადგილკომი.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა, შვილები: ნატალია, მარიამი, გიორგი და სერგო, სიძე შალვა ხუნდაძე და შვილიშვილები ოთარი და ნუნუ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე მანუჩარისძე მიქაძე

გამოსვენება პირველ მაისს თავის ბინიდან, შმიდტის ქუჩა № 1, ნაშუადღევის ოთხ საათზე ქ. ბათომში. 1238. 2—1

ბათომის რაიონული საბაჟოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 29 აპრილს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ხელმძღვანელი და დამსახურებული თანამშრ[illegible]

ალექსანდრე [illegible] მიქაძე

1239. 2—1.

ღრმად დამწუხრებული პირისუფალნი დედა სალომე, ძმა—ნესტორი, ძმისშვილები—ალიოშა და ლიუბა, რძალი (ტიტია) ელისაბედ ცანავები, დები პელო ფურცხვანიძისა, ნინა ცანავა, ქსენია მსახურიასი, მარო საჯაიასი, სიძეები ალექსანდრე ფურცხვანიძე, ბათლომე მსახურია, გუია საჯაია, დისშვილები შალვა, ვლადიმერ და (ხუტუბა) ვასილ ფურცხვანიძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ უდროოთ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ სიკოსძე ცანავა

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება, შაბათ 1 მაისს, საღ. 4 საათზე მთავარი საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე ქ. 2338

ღრმათ დამწუხრებული შვილი ბესარიონი, [illegible] შვილები: იოსები, სადიკო, მარო, [illegible] მარუსია ჯუმბურიძეები; სიძეები: გიორგი [illegible] ტივაძე და ვასო ათაევი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დეკანოზი

იოსებ ივანესძე ჯუმბურიძე

რომლის დასაფლავება მოხდება ხვალ 1 მაის სოფელ ჯვარის-ეწერზე (შორაპნის მაზრაში). ნ. 1235

მამა ნიკოლოზ დიმიტრისძე, დედა მარიამ გუდუს ასული, და—ნორა, ბებია—მაკრინე ალმასხანის ასული, ბიძა გრიგოლ დიმიტრისძე და ბიცოლა მარიამ მელხისედეკის ასული ქავთარაძენი, მამიდა იულია დიმიტრის ასული და ბიძა პეტრე სახინოსძე მაღნარაძენი, ბიძაშვილები თამრო, ახა და ოთარი ქავთარაძენი აუწყებენ, ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 28 ამ თვეს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მეორე კურსის მსმენელი

დიმიტრი (ჯიმა) ნიკოლოზისძე ქავთარაძე

გამოსვენება რკინის გზ. საავადმყოფოდან დღეს, 30 აპრილს საღამოს 6 საათზე, თბილისის სადგურზე დაკრძალვა შაბათს ს. ძველსენაკში 1—1 ღ.

თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მე-2 ელექტრო-ტეხნიკური კურსის მსმენელნი უსაზღვრო მწუხარებით აღესილნი დასტირიან თავის ძვირფას, მშვიდი და უწყინარი ამხანაგის

დიმიტრი (ჯიმა) ნიკოლოზისძე ქავთარაძის

ნორჩი სიცოცხლის უდროოდ დაკნობას. 2331

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მშობლები დედა საშურკა, მამა სევერიან, ძმა ანდრუშა გვიჩიები, ბებიები მარიამ იურკევიჩისა, ეკატერინე ლოლობერიძისა და კატო კორძაიასი, დეიდა მანი, ბიძა ბარდლუ და დეიდაშვილი აჩიკო გაბილაიები, მამიდა ფაცა და ბიძა სოლოვან ემუხვარები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უდროოთ დაკარგული მუდმივ დაუვიწყარი

ნინა (ცუცულიკო) გვიჩია

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 აპრილს, დღის 4 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან ანდრეევის ქუჩა № 40. ქ. 2335

გულდამწუხრებული შვილები ექიმი ნიკოლოზ ნესტორისძე ჩხეიძე თავის ცოლ-შვილით, ბაბო ნესტორის ასული ჩხეიძე-ბობოხიძისა, მარიამ ნესტორის ასული ჩხეიძე-ლოლაძისა მათი ოჯახის წევრებთან ერთად უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა/წ. 26 აპრილს სოფ. აბჩაში გარდაიცვალა მათი უძვირფასესი დედა

ლიდა რაჟდენის ასული ჩხეიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. აბჩაში ა/წ. 1 მაისს. ქ. 2326

გარდაცვალებულის

მარინე კალისტრატეს ასულის ცინცაძის

ნათესავები გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება. ქ. 2323

გულმოკლულნი: მეუღლე გრიგოლ ექვთიმისძე, შვილები: ზინა და ლადო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ძვირფას და დაუვიწყარ

კატო კონსტანტინეს ასული მიქელაძე-დონაძის

გარდაცვალების ორი წლის თავზე 30 აპრილს, პარასკევ საღამოს, 6 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. 2327

აპოლო [illegible]

დღეს და ყოველდღე

პირველად ეკრანზე სომხეთის ყოფა-ცხოვრება

„ნამუსი“

შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.

რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი

ოპერატორი ს. ზაბოზლაევი

სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი

ყველა კონტრამარკები გაუქმებულია

0—24

საავტომობილო მიმოსვლა

КООП-ТВО ШОФФЕРОВ „МОТОР“

მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადატანა ყველა მიმართულებით

კონტორა მოთავსებულია ქარვასლაში (ყოფ. თამამშევის) პუშკინის სახ. ბაღის პირდაპირ.

შეიძლება ავტო-მანქანების დაქირავება თვიურად და საათობით.

თბილისი—კაკავი. კოჯორი—კიკეთი—მანგლისი—თეთრი-წყარო, წნორის-წყალი—ლაგოდეხი—ზაქათალა. ბორჯომი—ახალციხე—აბასთუმანი—ახალქალაქი, ევლახი—აგდაში—შუშა—სტეპანაკერტი—კარიაგინო—გერიუსი—ევლახი—ნუხა.

საბარგო სექციის კანტორა: სადგური, საბარგო სადგურთან.

დარეკეთ ტელეფონით № 19—28. ნ. 1227

ამ.-კ. ვკ. რკინისგზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის
1926 წ. 26 აპრილის
დადგენილება
(ოქმ. სხდ. № 12—4 | 9).

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების—საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პროფსაბჭოე[illegible] და განათლების კომისარიატების მიერ მოწყობილ ექსკურსიებისათვის ამიერ-კავკასიის რკინისგზების ფარგლებში საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ

იმ ექსკურსიებისათვის, რომლებსაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების—საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პროფსაბჭოები და განათლების კომისარიატები აწყობენ, ამიერ-კავკასიის რკინისგზების ფარგლებში მაგარი ვაგონებით მგზავრობისათვის დაწესდეს საექსკურსიო ტარიფი, შემცირებული 50 პროც. საერთო (ნორმალურ) ტარიფთან შედარებით.

საერთო რიცხვი იმ ექსკურსანტების, რომლებსაც მიეცემა აღნიშნული ტარიფით სარგებლობის უფლება, განისაზღვროს შემდეგნაირად.

საქართველოს პროფსაბჭოს ექსკურსიებისათვის—3000 კაცი,
სომხეთის „ „ —1000 „
აზერბაიჯანის „ „ —2000 „
საქართველოს განათლების კომისარიატის ექსკურსიებისათვის—2000 კაცი,
სომხეთის „ „ „ —1200 „
აზერბაიჯანის „ „ „ — 800 „

აღნიშნული საექსკურსიო ტარიფი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ გამგზავრების სადგურზე წარმოდგენილი იქნება სპეციალური მოწმობა ფორმა № 1 ა.-კ. რკ. გზ., რომლებსაც შესაფერად ავსებენ განათლების კომისარიატები და პროფსაბჭოები, ცალ-ცალკე თვითეული ექსკურსანტისათვის და რომლებიც დამოწმებული უნდა იქნან პასუხისმგებელი პირის ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით.

ამ მოწმობებს ძალა აქვთ მხოლოდ ერთ მგზავრობაზე და ისინი, გარდა ამისა, ბეჭედდასმული უნდა იქნენ ა.-კ. რკინის გზების საშემოსავლო განყოფილებაში. ბეჭედდაუსმელად ამ მოწმობებს არა აქვთ ძალა.

აღნიშნული ტარიფი რბილ რონოდებში და ჩქარ მატარებლებში მგზავრობაზე არ ვრცელდება.

პლაცკარტების შეძენა ადგილის დასაკავებლად ხდება ჩვეულებრივი წესით, უშეღავათოდ.

იმ პირებს, რომლებიც მოგზაურობენ აღნიშნულ საექსკურსიო ტარიფით, ხელზე უნდა ჰქონდეთ და უნდა წარუდგინონ კანტროლს ბილეთთან და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად, აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მათ უფლებას აღნიშნულ ტარიფით სარგებლობაზე.

აღნიშნული საექსკურსიო ტარიფი წესდება მიმდინარე წლის 30 აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე და ძალაშედის დეპეშით.

„საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ ა.-კ. რკ. გზ. გამგ. წევრი ფიცხელაური
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი შახბუდაგოვი.

ტფილისი 1926 წ. 28 აპრილი.

ნ. 1234.

იბეჭდება
და ივნისის შუა რიცხვებში გამოვა
„ადამიანის ოთხფეხა მოსამსახურენი“
და
„მტაცებელი ცხოველები“
ლუნკევიჩიდან გადმოკეთებული
ალექსანდრე ლომთათიძის
მიერ

წიგნი ნებადართულია სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურ სექციის მიერ. წიგნი ორი ნაწილისაგან შესდგება. შეიცავს 160 გვერდს. დართული ექნება ცხოველების 60-მდე ფოტოგრაფიული სურათი. წიგნი ხელისმომწერლებისათვის ეღირება 1 მ. 50 კ. არა ხელისმომწერთათვის—2 მ. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ოლღას ქ. № 6, ს. თავართქილაძესთან. ოლღას ქ. № 3, ვ. სინაურიძესთან. სასახლის ქ. № 5, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად., ვ. ედილაშვილთან. ცეკავშირში შამშე ასათიანთან, წარმოკავშირში ალექსანდრა ქართველიშვილთან. ქიათურაში: ს. თოდრიასთან. ოზურგეთში წვრილ ხელოსანთა საკრედიტო ამხ. კ. ჭელიძესთან. ბათუმში ქუთაისის ქ. № 39. ი. კვაჭანტირაძესთან ქუთაისში: მესხეთის ქ. პ. სვანიძესთან.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება—თბილისი, საპიორის პირველი ჩიხი № 4. გამომცემელ ზინაიდა ლომთათიძესთან საღამოს ოთხი საათიდან 6 საათამდე.

ნ. 1233 2—1

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია

თანახმად 304 მუხ. სამოქ. სასამართ. საპროცესო კოდექსისა აცხადებს, რომ 15 მაისს დილით 9 საათზე დანიშნულია ადგილობრივ, საჯარო ვაჭრობა სხვადასხვა ქონებების ლიის თემის მცხოვრების ალექსი და მიხა ბერიშვილების მუშების დასაკმაყოფილებლად, რაც შეადგენს ქვის და ხის ლუქნებს, ქონება და მარანს. აწერილი ქონება შეფასებულია 365 მან. ვაჭრობა დაიწყება აწერილი თანხიდან.

ნ. 1[illegible]

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—30

სათვალეების მორიგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი

დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით პნეიმოტორაქსის და ტუბერკულოზის, რენტგენის და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დღ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—[illegible]

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექ. ი. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი

(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე.
35—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“ ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ხიდის [illegible]

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17.

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35
25—11

ავადმყოფების მიღება
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი მ. ა. ლუკოვიცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან
25—18

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინსკის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—20

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 61.

ავადმყოფების მიღება
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56

იყიდება
„ბენც“-ის სისტემის
ავტომობილი

ცნობებისათვის მიმართეთ ამხ. გვარამაძეს ლორის-მელიქოვის ქუჩა № 7.
ნ. 1236

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

დავკარგე უვადო პასპორტი № 388, გაცემული მეშვიდე რაიონის მილიციის სამართველოდან ილიკო ხახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2336

დავკარგე სამხედრო წიგნაკი ფორმა № 4—№ 8 და პირადობის მოწმობა № 169 ავთონ ილარიონისძე ჯაშის სახელზე, ჩ. გ. 2328

დავკარგე კამეჩის ნასყიდობის მოწმობა № 2377 ევგენი ფანცულიას სახელზე, ჩ. გ. 2328

დავკარგე უვადო პირ. ობის მოწმობა ნადეჟდა ანტონის ასულის ყიფიანის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2333

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი, სამხედრო საალრიცხვო განაკი და ოზურგეთის ტეხნიკ[illegible]დან გაცემული 7 კლასის მოწმობა ალექსანდრე ქიშვარდისძე ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2325

დავკარგე მეტრიკული ამ[illegible]რი № 2873 ლოლა სირაძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2333

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 56 ნინო ბიბილაურის სახელზე, ჩ. გ. 2329

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 3896 ეკატერინე სილოვანის ასული გოგორიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2324

დავკარგე ქორწინების მოწმობა № 150 ვლადიმერ მამისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2230

დავკარგე პარტ[illegible]წევრო ბი[illegible]